# ელვა

ცალკე ნომერი 3 კაპ.

თ ფ ი ლ ი ს ი

შაბათი. 18 (31) მარტი.

1906

წელიწადი პირველი

გაზეთი „ე ლ ვ ა“ წლიურათ ღირს 6 მან., თვიურათ 50 კაპ., ცალკე ნომერი 3 კაპ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 15 კაპ., უკანასკნელ გვერდზე 10 კაპ. რედაქციასთან მოლაპარაკება დაუბეჭდავ წერილების შესახებ შეიძლება თორმეტიდან მეორე საათამდე. დაუბეჭდავი წერილები რედაქციაში ინახება 10 დღეს. რედაქცია იმყოფება ველიკოკნიაჟ. ქუჩ., № 17.

№ 6 ყ ო ვ ე ლ - დ ღ ი უ რ ი გ ა ზ ე თ ი. № 6



გაზეთი „ე ლ ვ ა“ მევაზეთეებმა **უნდა გაყიდონ სამ კაპეიკათ**, როგორც თფილისში, ისე სხვა ქალაქებში და **სახალხო მატარებლებშიაც.**



ამ წლის 12 მარტიდან გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ე ლ ვ ა“

„ელვა“ წლიურათ ღირს თფილისში და თფილის გარეთაც 6 მან., 5 მარტიდან წლის ბოლომდის 5 მან., თვიურათ 50 კაპ., ხოლო ცალკე ნომერი **მევაზეთეებთან თფილისში და სხვა ადგილებშიაც 3 კაპ.**

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ.

**რედაქცია ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-დე.**

ხელის მოწერა მიიღება:

**თფილისში**: რედაქციის კანტორაში—ველიკოკნიაჟესკ. ქუჩაზე, № 17.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „ЕЛВА“.


### რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ:

რედაქცია თხოვს ბბ-ნ ხელის მომწერლებს, გაზეთის მისაღებათ მიმართონ (ფოსტით გვიან მიდის, ამ საშუალებით კი ადრე მიიღებენ) ჩვენს აგენტებს, რომლებთანაც გაზეთი ნომრობით იყიდება და ხელის მოწერაც მიიღება. აგენტების სია: **ქუთაისში**—ამხ. „კოლხიდა“, **ბათომში**—მიხ. კალანდაძე, **ფოთში**—იოსებ კოხრეიძე, **ოზურგეთში**—ისე ტულუში, **სოხუმში**—მ. ძიძიგურის გაზეთების ბიურო, **გორში**—არჩუაძე, **ჭიათურაში**—ვლად. მოსეშვილი, **ზესტაფონში**—ივ. საყვარელიძე, **სამტრედიაში**—როსტომ ბასილაძე, **ხაშურში**—ი. კვალიაშვილი, **თელავში**—ქეთო ზარაფიშვილისა, **სიღნაღში**—ზაქ. მენთეშაშვილი, **ბორჯომში**—მიხ. დადიანი, **ლანჩხუთში**—ვ. ებრალიძე.

ღრმათ დამწუხრებულნი: **სოფიო, თამარა, შურა და აჩიკო ჩხარტიშვილები** ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი დაუვიწყარი ქმრისა, ხოლო უკანასკნელნი ძვირფასი მამისა

## ესტატე ნიკოლოზის ძე ჩხარტიშვილისას,

რომლის გამოსვენება ნიკოლოზის ეკლესიაში (ჩუღურეთში) დანიშნულია ამა თვის 19-ს, დღითი კვირას, დილის 10 საათზე. პანაშვიდები გადახდილ იქნება ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, საკუთარ სახლში ბაქოს ქუჩაზე, № 18.

**თფილისის მოსამსახურეთა კავშირი** მოიწვევს ყველა თავის წევრებს დაესწრენ უდროოთ გარდაცვალებულ

## ესტატე ნიკოლოზის ძის ჩხარტიშვილის

გასვენებას კვირას, 19 მარტს, დილის ათ საათზე, ბაქოს ქუჩაზე, № 18. ჩუღურეთში ნიკოლოოზის ეკლესიაში.

**თფილისის წვრილ მოვაჭრეთა ბიურო** მოიწვევს თფილისის ყველა ვაჭრებს დაესწრონ დაუვიწყარი ამხანაგის

## ესტ. ნიკ. ჩხარტიშვილის

გამოსვენებას კვირას, 19 მარტს, დილის ათ საათზე, ბაქოს ქუჩა, № 18, საკუთარი სახლი. გამოასვენებენ ჩუღურეთში ნიკოლოოზის ეკლესიაში.

### „კონსტიტუციონალური“ ილლიუზია.

—

ბურჟუა-ლიბერალების „კონსტიტუციონური“ ილლიუზია, რომელიც 17 ოქტომბრის მანიფესტმა დაბადა იმათ თავში, დეკემბრის თვეში რეაქციის გამოლაშქრებამ გაფანტა. ძველი რეჟიმის დაცემა მხოლოდ ხალხის მოძრაობის სრული გამარჯვების შედეგია. 17 ოქტომბრის მანიფესტი ბიუროკრატიის მხრით ერთნაირი დათმობა იყო, თუმც სიტყვიერი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ხალხის რევოლიუციური მოძრაობით გამოწვეული. ხდებოდა საკვირველი მოვლენა! ბიუროკრატია, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოდა ხალხის ყოველგვარ თავისუფალ მოძრაობის აჩრდილსაც კი, რომელიც „უაზრო თავხედობათ თვლიდა ხალხის წარმომადგენლების მონაწილეობის მიღებას კანონმდებლობაში,—აი სწორედ ეს ბიუროკრატია გამოსულიყო და თითქო ხალხს ეუბნებოდა: ჩვენ აქამდის დამნაშავე თუ არა შემცდარი მაინც ვიყავით, შენ კი მართალი. ამიერიდან ყოველივე შენი სურვილი დაკმაყოფილებული იქნება, შენ სრული უფლება გეძლევა თავისუფლათ წერის, ლაპარაკის, კრების, კავშირის შედგენის. გარდა ამისა, შენ დაუკითხავათ ამიერიდან არავითარი კანონი არ გამოიცემა. ეს იყო კონსტიტუციონალური ილლიუზიის მიზეზი. მთავრობა ვერ განახორციელებდა თავის სიტყვებს. ამისათვის საჭირო იყო ძირითადი ცვლილებ.ს მოხდენა არსებულ წესწყობილებაში, საჭირო იყო რევოლიუციის ბოლომდე მიყვანა. და განა ეს შეეძლო ვიტეს და კამპანიას? ეს ხომ თავისივე ხელით იმ ტოტის მოჭრა იქნებოდა, რომელზედაც თითონ ისხდენ.

მთავრობის ნამდვილი განზრახვა ბევრისათვის გაუგებარი დარჩა. რაც შეეხება ბურჟუაზიას და მის იდეოლოგებს,—ისინი სავსებით მიეცენ „კონსტიტუციონურ“ ილლიუზიას. იმათ გადაწყვიტეს, რომ რევოლიუცია უკვე დამთავრდა, ამას შემდეგ მის გაგრძელებას სრულიად არავითარი აზრი აღარ აქვსო. პროლეტარიატი კი სულ სხვანაირათ უყურებდა საქმეს. 17 ოქტომბრის მანიფესტით, პროლეტარიატის აზრით, რუსეთის რევოლიუციაში ახალი ხანა იწყებოდა. რევოლიუციური მოძრაობა ვერ შეჩერდებოდა იმით, რომ ბიუროკრატია ხალხს დაპირებას აძლევდა, შემდეგში ასე მოვიქცევიო. და მერე რით იყო გამოწვეული ეს დაპირება? აშკარა იყო, რომ თვით ეს დაპირება ერთი იმ ოინთაგანი იყო, რომლისთვისაც არა ერთხელ მიუმართავს ბიუროკრატიას, როცა საქმე გაჭირებია. ამნაირათ 17 ოქტომბრის მანიფესტს ბურჟუაზია და პროლეტარიატი ერთნაირათ არ შეხვდენ. და ეს არც გასაკვირალია. ვინ იყო მართალი, ვინ გამოიჩინა აქ წინდაუხედაობა, ყველაფერი ეს ჩქარა გამოირკვევა. ბურჟუაზიამ პირი უბრუნა რევოლიუციას, იგი საგრძნობლათ დაექანა მარჯვნით და მთავრობასთან მოლაპარაკება გამართა. ეს მოძრაობის გაცემა იყო. ბიუროკრატიამაც სწორედ ამისათვის გამოიგონა 17 ოქტომბერი. იმან კარგათ იცოდა, რომ მართალია ბურჟუაზია მხარს უჭერდა რევოლიუციას, მაგრამ იმავე ბურჟუაზიას საშინლათ ეშინოდა ხალხის გამარჯვების, სრული დემოკრატიული წეს-წყობილების დამყარების. ხალხის გამარჯვება თხოულობდა ხალხის შეიარაღებას, და ამის კი არა ნაკლებ ეშინია თვით ბურჟუაზიას. მისთვის ბევრათ უფრო სასარგებლოა, რომ შეიარაღებული ისევ მთავრობა იყოს, თუნდაც ბიუროკრატიული, ოღონდ კი ხალხი ნუ იქნება შეიარაღებული. ბურჟუაზიის თვისება ის არის, რომ სიტყვით მას ლიბერალობა და დემოკრატობა უყვარს, მაგრამ მისი ინტერესები მოითხოვენ, რომ ხალხს, განსაკუთრებით მუშა ხალხს, გავლენა და ძალა არ ქონდეს, ვინაიდან ეს საშიშარია მისი ბატონობისათვის. ყველა რევოლიუციის დროს ბურჟუაზიას შიში იპყრობს: ვაი თუ მუშა ხალხმა პოლიტიკური ძალა ხელში ჩაიგდოს, თავისი დიქტატორობა გამოაცხადოს და სოციალური რევოლიუცია მოახდინოს. ასეთი აზრი დაებადა არა თუ ბურჟუაზიულ კლასებს, არამედ მათ იდეოლოგებსაც—ბურჟუაზიული დემოკრატიის ინტელიგენციას. მაგრამ ასეთი ფიქრი ყოვლად უსაფუძვლო იყო. რუსეთის დღევანდელი რევოლიუციის ხასიათი ყველასათვის მეტათ თვალსაჩინო და აშკარა იყო; ამნაირათ ბურჟუაზია არა თუ ჩამოშორდა რევოლიუციას, არამედ რეაქციის პირველი მოკავშირე შეიქნა პროლეტარიატის წინააღმდეგ. ეს, რასაკვირველია, პირდაპირ ბიუროკრატიის გამაგრებას ნიშნავდა. ბურჟუაზიას უნდოდა რევოლიუციის საქმე მარტო თავის საკუთარ საქმეთ გადაექცია. იგი ხედავდა, რომ რევოლიუციის გაგრძელება მისგან მსხვერპლს თხოულობდა, და რათ უნდოდა მას ეს, როცა თავის მიზანს მშვიდობიანი გზით უფრო ახწევდა. მართალია აქ ბურჟუაზია წინდახედულობას და შორსმჭვრეტელობას ვერ იჩენდა, ვინაიდან სრულებით ამაო იყო მისი „კონსტიტუციონური“ ილლიუზია, მაგრამ ბურჟუაზიას მაინც ეს ერჩია, ვინემ პროლეტარიატის გამარჯვება. და აი როცა „კონსტიტუციონალური“ მთავრობის რეპრესიებზე პროლეტარიატი ახალი პოლიტიკური გაფიცვებით აძლევდა პასუხს, ბურჟუაზიულმა პრესამ ამას მწყრალათ შეხედა. ჩვენ ქებულ ლიბერალებსა და შავრაზმელებს შორის ამაში განსხვავება არ იყო. როცა მაგ., დურნოვომ და ვიტემ 17 ოქტობრის მანიფესტი გააუქმეს და ფოსტის მოსამსახურეებს სასტიკი ომი გამოუცხადეს პროფესიონალური კავშირის შედგენისათვის, და როცა ფოსტის მოსამსახურეებმა ამაზე საყოველთაო გაფიცვით მისცეს პასუხი, ეს არ მოეწონათ ლიბერალობით განთქმულ „რუსეთის უწყებებს“, რომლებიც ამ შემთხვევაში სრულებით ეთანხმებოდა ცნობილ „ნოვოე ვრემიას“ აზრს, და ფოსტის მოსამსახურეებს ურჩევდენ გაფიცვის შეწყვეტას, ე. ი. სრულიად ამართლებდენ მთავრობის რეაქციონურ ზომებს, მის თვითნებობას, 17 ოქტომბრის მანიფესტის გაუქმებას. რისთვის? იმისთვის, რომ ფოსტის მოსამსახურეების გაფიცვა ნიშნავდა რევოლიუციის გაგრძელებას მის გაღრმავებას და გაფართოებას.

ბურჟუაზიულ დემოკრატიის ახალი ორგანო „თავისუფალი ხალხი“ პირველ ნომერშივე, ჯერ კიდევ დეკემბრის ამბების წინეთ, ფილოსოფიურათ ასაბუთებდა ასეთ მიმართულებას. მისი აზრით (№ 1), რევოლიუციის გაგრძელება პროლეტარიატის გატაცებას და სწორი გზიდან გადახვევას ნიშნავდა და მეტ არაფერს. გაზეთის აზრით რევოლიუციის გაძლიერება ხალხს დაღუპავდა. ქვეყნის ხსნა ხსენებული გაზეთის აზრით, მხოლოდ საშუალო ჯგუფებს შეეძლოთ. მაგრამ რა გზით, ან რა საშუალებით, ამაზე გაზეთი არაფერს ამბობდა. იგი გადაჭრილ პასუხს ვერ იძლეოდა თავის ტაქტიკაზე. და განა ქონდათ კი იმათ რაიმე ტაქტიკა? ეს ხომ ტაქტიკა არ არის მთავრობასთან მიხვიდე და გამოუცხადო: მენ არ ვარგიხარ, ჩამოდექ მაღლიდან და ადგილი დამიცალეთ! და აი სწორედ ამას ეუბნებოდა ბურჟუაზიული დემოკრატიის (იგივე „ოსვობოჟდენიეს“) გაზეთი მთავრობას. აი ამაში მდგომარეობდა მთელი იმათი ტაქტიკა. სინამდვილე ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვიმტკიცებს, თუ რა ფასი აქვს ასეთ ტაქტიკას, ან უფრო მართლა რომ ვთქვათ სრულიად უტაქტიკობას. Ничему не научились и ничего не позабыли!—აი რა ითქმის ჩვენ ბურჟუა-დემოკრატებზე. ადვილი შესაძლებელია, რომ ისინი ვერც დეკემბრის ზარბაზნებმა გამოიყვანონ „კონსტიტუციონალური“ ილლიუზიიდან.

—

### სხვა და სხვა კლასთა როლი დღევანდელ მოძრაობაში.

დღევანდელ რევოლიუციის მსვლელობას, მის ხასიათს და შინაარს უმთავრესათ განსაზღვრავს ბრძოლა სამ მთავარ სოციალურ ძალთა. ეს ძალებია: თვითმპყრობელობა, ბურჟუაზია და პროლეტარიატი. თვითეულ ამ ძალთაგანს თავისი განსაკუთრებული ისტორიული დანიშნულება აქვს. თვითმპყრობელობის დანიშნულებაა დაცვა წარსულის (ფეოდალიზმის), ბურჟუაზიის დანიშნულებაა დაცვა აწმყოსი (კაპიტალიზმის), პროლეტარიატის დანიშნულებაა დაცვა მომავლის (სოციალიზმის). ასეთ სხვა და სხვა გვარ ისტორიულ დანიშნულებათა ნიადაგზე წარმოებს ბრძოლა აღნიშნულ სოციალურ ძალთა შორის. ამავე ისტორიული დანიშნულებით განისაზღვრება სამივე ძალის პოზიციები დღევანდელ რევოლიუციაში. თვითმპყრობელობას და პროლეტარიატს, ისე როგორც წარსულსა და მომავალს, სრულიად მოწინააღმდეგე, უკიდურესი პოზიციები უჭირავთ ერთმანეთის შესახებ. ბურჟუაზია კი დგას ამ ორ ძალთა შუა ისე, როგორც აწმყო იმყოფება წარსულსა და მომავალს შუა. პროლეტარიატი მუდამ და მედგრათ, უცვლელათ წინ აწევება რევოლიუციას; თვითმპყრობელობა მუდამ და მედგრათ, უცვლელათ უკან აწევება მას. მათ შუა მდგომი ბურჟუაზია კი ხან ერთისაკენ იხრება, ხან მეორისაკენ, ხან ერთს უჭერს მხარს, ხან მეორეს; ხან პროლეტარიატს უწყობს ხელს რევოლიუციის მოსახდენათ, ხან თვითმპყრობელობას უმაგრებს წელს რევოლიუციის შესამუსრავათ. აი სწორედ ასეთი ბრძოლით, ამ სამ მთავარ სოციალურ ძალთა ასეთი „მიწოლ-მოწოლით“ განისაზღვრება უმთავრესათ დღევანდელ რევოლიუციის მსვლელობა, მისი ხასიათი და შინაარსი. საქმე იმაშია, რომ რაც უფრო მეტ წინააღმდეგობის და ბრძოლის უნარს გამოიჩენს წარსულის და აწმყოს წარმომადგენელი ძალები—თვითმპყრობელობა და ბურჟუაზია, რევოლიუციაც მით უფრო ნაკლებ წაიწევს წინ, მით უფრო ბურჟუაზიული ხასიათი და შინაარსი მიეცემა მას; ხოლო რაც უფრო მეტ წინააღმდეგობის და ბრძოლის უნარს გამოიჩენს მომავლის წარმომადგენელი ძალა—პროლეტარიატი, რევოლიუციაც მით უფრო დიდ ნაბიჯს გადადგამს წინ, მით უფრო მეტი პროლეტარული ხასიათი და შინაარსი მიეცემა მას.

მაგრამ მარტოოდენ აღნიშნულ ძალთა ბრძოლა საბოლოოთ როდი წყვეტს რევოლიუციის ბედს. რევოლიუციის ბედის საბოლოოთ გადამწყვეტი უმთავრესათ სულ სხვა ძალაა. ამ ძალას წარმოადგენს ეგრეთ წოდებული წვრილი ბურჟუაზია, როგორც ქალაქის, ისე სოფლის, როგორც წვრილი მოქალაქენი, ისე სოფლის წვრილი გლეხები. წვრილი ბურჟუაზია შეიცავს რუსეთის იმპერიის მცხოვრებთა დიდძალ უმრავლესობას, და, რაღა თქმა უნდა, რამდენათაც ეს უმრავლესობა მხარს დაუჭერს რევოლიუციას, ეს უკანასკნელიც სწორედ იმდენათ გაიმარჯვებს; პირ-იქით, რა მხრითაც კი ეს უმრავლესობა წინააღმდეგობას გაუწევს რევოლიუციას, ეს უკანასკნელიც სწორედ იმ მხრით მიზანს ვერ მიაღწევს. ერთი სიტყვით, რევოლიუციის ბედს გადასწყვეტს უმთავრესათ ის, თუ რა დამოკიდებულება ექნება მასთან წვრილ ბურჟუაზიას. მაშ, გავითვალისწინოთ, როგორი დამოკიდებულება აქვს წვრილ ბურჟუაზიას რევოლიუციასთან. ეს დამოკიდებულება საკმაოთ განუსაზღვრელია. ამის მიზეზი ის არის, რომ წვრილი ბურჟუაზია შეიცავს სამივე ზემოაღნიშნულ საზოგადოებრივ ძალთა ელემენტებს,—ელემენტებს: წარსულისას, აწმყოსას და მომავლისას; წარსულისას, როგორც წარმომადგენელი წვრილ წარმოებისა; აწმყოსას, როგორც წარმომადგენელი კერძო საკუთრებისა, ხოლო მომავლისას, როგორც წარმომადგენელი საჭირო შრომის. ერთი სიტყვით, წვრილი ბურჟუაზია შეიცავს ფეოდალურ-რეაქციონურ ელემენტსაც, ბურჟუაზიულ-კონსერვატორულსაც და პროლეტარულ-რევოლიუციონურსაც. აი ასეთი განუსაზღვრელი შედგენილობა წვრილ ბურჟუაზიისა წარმოშობს მის განუსაზღვრელ დამოკიდებულებას დღევანდელ რევოლიუციასთან. რამდენათაც წვრილი ბურჟუაზია პროლეტარულ, ანუ უკეთ ნახევრათ-პროლეტარულ ელემენტს შეიცავს, იმდენათ ის მტკიცეთ უჭერს მხარს რევოლიუციას, იმდენათ უფრო რადიკალურია მისი დამოკიდებულება უკანასკნელთან; ხოლო რამდენათაც წვრილი ბურჟუაზია უფრო დამოუკიდებელ მესაკუთრეთაგან ანუ უფრო-ბურჟუაზიულ ელემენტებისაგან შესდგება, იმდენათ უფრო ნაკლებ რადიკალურია მისი დამოკიდებულება რევოლიუციასთან; ის—კი არა—და, იმდენათვე ადვილათ შეიძლება კიდეც ამხედრდეს იგი რევოლიუციის წინააღმდეგ (როგორც წარმომადგენელი წვრილ წარმოების, ე. ი. როგორც რეაქციონერი).

ცხადია რომელი ელემენტიც უფრო ჭარბობს წვრილ ბურჟუაზიაში, სწორედ იმ ელემენტს ექნება რევოლიუციის ბედის გადამწყვეტი მნიშვნელობაც. ეჭვი არ არის, რომ ეს ელემენტია უფრო-ბურჟუაზიული ელემენტი. მაშასადამე აშკარაა, რომ რუსეთის რევოლიუციის ბედი უფრო ბურჟუაზიის ინტერესების სასარგებლოთ გადაწყდება. ამ სახით ისტორიულათ დღევანდელი რევოლიუცია უმთავრესათ ბურჟუაზიული რევოლიუციაა.

მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, ერთი მხრით, იმას, რომ რუსეთის წვრილი ბურჟუაზიის ნახევრათ-პროლეტარული ნაწილი კარგა მოზრდილია; მეორე მხრით—იმას, რომ რუსეთის სხვილი ბურჟუაზია, როგორც პოლიტიკური ძალა, მეტათ მოუმწიფებელი და სუსტია; ხოლო მესამე მხრით—იმას, რომ რუსეთის პროლეტარიატი პოლიტიკურათ, პირ-იქით, საკმაოთ მომწიფებულ, გაწვრთნილ და მტკიცეთ შეკავშირებულ ძალას წარმოადგენს,—თუ ყველა ამას გავითვალისწინებთ, დავრწმუნდებით, რომ დღევანდელი რევოლიუცია შესძლებს ისეთი ღრმა და ძირითადი ცვლილება მოახდინოს რუსეთის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორიც-კი საზოგადოთ შესაძლებელია კაპიტალისტურ წეს-წყობილების ფარგალში. ხოლო ხელის შემწყობ საერთა-შორისო სოციალურ-პოლიტიკურ პირობების მეოხებით-კი ისიც შესაძლებელია, რომ რუსეთის რევოლიუციამ სრულიადაც ძირი გამოუთხაროს თვით კაპიტალისტურ წეს-წყობილებას. მაგრამ რაც შეეხება ამ ძირის გამოთხრის დაჩქარებას და სოციალიზმის მოახლოვებას, ეს ხომ სრულიად უეჭველი შედეგი იქნება რუსეთის რევოლიუციის.

**ს. ნემეზიდაშვილი.**

## ახალი ამბები

—

ქ. თფილისში **სახელმწიფო სათათბიროსათვის** თითო რწმუნებულის არჩევის უფლება აქვთ შემდეგ სამრეწველო დაწესებულებათა მუშებს: ადელხანოვის ნაბდის ქარხნისას (140 მუშა), ტყავის ქარხნისას (300 მუშა) და ფეხსაცმლის ქარხნისას (686 მუშა); ზარგარიანცის, ვართაზარიანცის და კამპანიის ტყავის ქარხნის და ნაბდის განყოფილებისას (72 მუშა); თაიროვის, ალიხანოვის და ტოლლეს სააქციონერო საზოგადოების საპნის და ზეთის სახდელ ქარხნებისას (98 მუშა), ენფიანჯიანცის თამბა-

ქოს ქარხნისას (134 მუშა), ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხნისას (156 მუშა), „მირის" სააქციონერო საზოგადოების თამბაქოს ქარხნისას (149 მუშა), საფაროვის მემკვიდრეთა თამბაქოს ქარხნისას (115 მუშა), დ. სარაჯიშვილის არყის ზავოდისას №2 (60 მუშა), იარალოვის და ამხ. სამექანიკო ზავოდისას (180 მუშა), რუქსის სამექანიკო ზავოდისას (52 მუშა), ტრამვაის დეპოსას (79 მუშა), სარაჯიშვილის არყის ზავოდისას №1 (51 მუშა), ქართველთა ამხანაგობის სტამბისას (204 მუშა), ხ. ხაჩატუროვის სტამბისას (52 მუშა) და „ვერმესის" სტამბისას. გორის მაზრაში თითო რწმუნებულის არჩევის უფლება აქვთ მუშებს ბორჯომის წყლის ზავოდისას (118 მუშა), ბორჯომის სახერხ ზავოდისას (57 მუშა), და ბერგმანის მუშის ზავოდისას (181 მუშა).

არჩევნების დანიშვნა განზრახულია 26 მარტისათვის.

✦ თფილისის გუბერნატორის განმარტებით, საქარხნო, სამთო და სამთო-საქარხნო მრეწველობაში მოსამსახურე თავმდგმურებს, აჟილთავებს (დესეტნიკებს) და სხ. **მუშათა არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვთ.**

✦ **თელავის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციას**, როგორც გავიგეთ, დაუდგენია სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს, და ყოველგან, შეძლების და გვარათ, თავისი კანდიდატები გაიყვანოს.

✦ სოფ. წესიდან (შორაპნის მაზრა) გვატყობინებენ, რომ შორაპნის სადგურის მახლობლათ 15 მარტს თორმეტ საათზე **კაზაკმა მოკლა** 18 წლის ყმაწვილი სიმონ **გალდაველიძე.**

✦ **სახალხო წარმოდგენა.** დღეს, შაბათს, 18 მარტს ავჭალის აუდიტორიაში წარმოდგენილი იქნება თანამედროვე პიესა „სიმდიდრის მსხვერპლი", დრამა 3 მოქმედ. თარგმანი შაჭიაშვილისა და „ადვოკატთან", 1 მოქმედ. გუნიასი. დასაწყისი ექვსნახევარ საათზე.

✦ ვრცელდება **მოწოდება ებრაელების მიმართ** ვიღაც რაბინის სახელით. ეს ვითომდა რაბინი ურჩევს ებრაელებს ყოველივე საშუალება იხმარეთ გასამდიდრებლათ, რომ ბოლოს ხელში ჩაიგდოთ ქრისტიანები და ჯავრი ამოიყაროთო. ეჭვი არ არის, ეს მოწოდება ვიღაც პროვოკატორების მიერ იმ აზრით არის გამოცემული, რომ გამოიწვიონ ებრაელების აკლება-აწიოკება.

✦ როგორც მკითხველებმა იციან, ქალაქის გამგეობამ 318 მ. ნათი გადასდო იმ პირთა სასრგებლოთ, რომელნიც ქალაქის სხვადასხვა უბნებში დადიან და **არჩევნებში მონაწილეობის მიმღებ** მცხოვრებთა სიას ადგენენ. ამჟამათ დაუსრულებიათ ასეთ სიის შედგენა 1, 2, 3, 4, 5 და 6 უბანში. მე-9 უბანში მუშაობენ. მე-7 და მე-8 უბნებისთვის გამგეობას ჯერ ფული არ გადაუდვია, ასე რომ არ იციან პოლიციით შეკრებენ ამ უბნებში მცხოვრებთა შესახებ უმთავრეს ბუღალტერიიდან (99 კ.), უმცნობებს, თუ ისევ იმ პირთ დაავალებენ, რომელთაც სხვა უბნებში იმუშავეს.

ბათუმ-ფოთისკენ თფილისიდან მიმავალ მატარებლებში, როგორც გადმოგვცეს, ღამღამობით **ტევა არ არის**, ასე რომ მგზავრები იძულ[illegible]ხზე იდგენ, სანამ და[illegible]ლ ადგილას ჩამოდიდენ. ეს იმით [illegible]ება, რომ [illegible]ბს სურთ ღამე გზაზე [illegible] ადგი[illegible]ში, სადაც სამხედ[illegible] და ალყის დრო[illegible]წესებია შემოღებული, [illegible]დენ. რკინის გზის გამგეობისთვის [illegible]ხოვნიათ ვაგონების მომატება ღამის მატარებლებისთვის, მაგრამ გამგეობა უარზეა თურმე, რადგან ბევრი ვაგონები შორეულ აღმოსავლეთიდან ჯერ კიდევ არ ჩამოგვსვლიაო.

✦ **ახალ-სენაკში** ამ დღეებში კიდევ დაუჭერიათ ადგილობრივი ვაჭარი გრიგოლ ძძიგური, რომელსაც აბრალებენ თურმე, თითქო სენაკში ვაჭრების ასისთავი ყოფილიყო, და ძველი სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელი ლორთქიფანიძე. დ. აბაშაში დაუპატიმრებიათ ილ. ბ. ელიავა.

✦ ამ დღეებში პოლიციის დეპარტმენტმა სათანადო დაწესებულებებს (სხვათა შორის თფ. გუბერნატორს) შემდეგი შინაარსის ცირკულიარი დაუგზავნა: გენერალ-ინსპექტორის განკარგულებით იმის გამოსაკვლევათ, თუ **რა სისტემის იარაღებს ხმარობდენ მოსკოვში რევოლიუციონერები,** დაინიშნა სამხედრო დაწესებულების ერთი მოხელე, რომელმაც მხოლოდ 152 ვინტოვკა და 445 რევოლვერი წაართვა მეამბოხეთ. ეს იარაღი სრულიად უვარგისი და გამოუდეგარი აღმოჩნდა. მაგრამ ზოგიერთ ოფიცერთა და კერძო პირთა გამოკვლევით აღმოჩნდა, რომ რევოლიუციონერები თანამედროვე საუკეთესო იარაღით იყვნენ აღჭურვილნი. აღმოჩენილ იარაღთა შორის ახალ სისტემისა სრულიად არ აღმოჩნდა, ეს სხვათა შორის იმით აიხსნება, რომ წართმეულ იარაღით პოლიციელები სარგებლობენ და ჯარის კაცნიც მალავენ. ამისათვის პოლიციის დეპარტამენტი წინადადებას აძლევს გუბერნატორთ, რომ როცა მცხოვრებთ იარაღებს ართმევენ, შემოიღონ სია, სადაც უნდა ჩაიწეროს იარაღის ფირმა და წელიწადი, როდესაც გაკეთებულა. ამასთან უნდა დაიწეროს სია იმ პირთა, რომელთაც იარაღს ართმევენ.

✦ თფილისის ქალაქის გამგეობამ მიიღო სია იმ პირთა, რომელთაც **უფლება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობის შემდეგ განყოფილებათაგან: რკინის გზის უფროსის კანცელარიიდან (25 კაცია), რკინის გზის ნავთ-საყვან განყოფილების კანტორიდან (20 კაცი), რკინის გზის ტელეგრაფის განყოფილებაში მოსამსახურეთაგან (18 კაცი), რკინის გზის მოსამსახურეთა საპენსიო კასსიდან (9 კ.), სამობილიზაციო განყოფილებაში მოსამსახურეთაგან (22 კ.), გადასახადთა ამკრეფი განყოფილებიდან (175 კ.), თავრე[illegible] სახელოსნოს მოსამსახურეთაგან (90.

✦ დღემდე ქალაქის გამგეობაში 19 განცხადება შემოვიდა სხვა და სხვა პირთაგან, რომელნიც აცხადებენ სურვილს სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის მიღებისას. ასეთი წერილობით განცხადება ქალაქის გამგეობაში მხოლოდ 24 მარტამდე მიიღება.

✦ ავჭალის აუდიტორიაში, კვირას, 19 მარტს, ბ-ნი სემიონოვი წაიკითხავს **ლექციას** შემდეგი პროგრამით: 1. მთავრობისა და მემარჯვენე პარტიების დამოკიდებულება სახელმწიფო სათათბიროსთან; 2. „კადეტების" პოზიცია სათათბიროში მყოფ სხვა პარტიათა შორის და კავკასიის როლი სათათბიროში „კადეტების" შეხედულობით.

✦ ეს რამდენიმე დღეა, რაც გაზ. „ახალი დროება" სტამბის მიზეზებისა გამო **აღარ გამოდის.** სტამბის მიზეზებისა გამოვე დღეს ველარ გამოდის „პატარა გაზეთი". როგორც გვითხრეს, დღეს გამოვა **ახალი რუსული გაზეთი** „На Поворотѣ".

✦ ორშაბათს, 20 მარტს, დანიშნულია თფილისის ქალაქის **საბჭოს მორიგი კრება.** კრებაზე სხვათა შორის, განიხილავენ ქალაქის შემოსავალ-გასავლის სიას 1906 წლის განმავლობაში, ფინანსიურ კომისიის დასკვნით, გუბერნატორის ცნობას, რომ პოლიციის შესანახი ხარჯი ქალაქმა და ხაზინამ გაიყოს და სხვ.

✦ გუშინ წინ, 16 მარტს, საღამოს $8^1/_2$ საათზე რიყეზე ვიღაც უცნობი მივარდა ტრამვაის ვაგონების კანტროლიორს კოზელსკის და რევოლვერით **მძიმეთ დასჭრა** მუცელში. ახლო-მახლო მყოფნი რევოლვერის ხმაზე დაფრთხნენ და გაიფანტნენ. ამით ისარგებლა უცნობმა და გაიქცა. დაჭრილი კოზელსკი მიხეილის საავათმყოფოში წაიყვანეს. ექიმების შემოწმებით კოზელსკის ჭრილობა საშიშია თურმე.

✦ ქალაქის **გამგეობის უმცროსმა მოსამსახურეებმა** ამ დღეებში გამგეობას გაუცხადეს თავიანთი უნუგეშო ნივთიერი მდგომარეობა და ითხოვენ ერთდროული შემწეობა მაცეთ სააღდგომოთ.

✦ 13 მარტს, სოფ. შუხერს (შუშა) **თავს დაესხნენ** 40 კაზაკი, 10 შეიარაღებული თათარი, მოლას, მამასახლისის თაფრიხის, მორიგებელი შუამავლი ერმოლაევის და ბოქაულის თანაშემწის ფადის მეთაურობით. თაფრიხის ჩვენებით სცემეს გლეხ პოღოსას და წაიყვანეს ყარაბულაღში, გაჩხრეკის დროს იპოვეს ერთი თოფი. გაირეკეს რვა სული საქონელი, მოუტაციათ ხალიჩა, ვერცხლის ქამრები, სამი ქვევრი არაყი და სხვა ბევრი ნივთები, ზარალი დიდია. კაზაკები მთვრალები წასულან („ჭარ".).

✦ 13 მარტს, ბალახანაში, საღამოს ჟანდარმებმა, პოლიციელებმა და კაზაკებმა **გაჩხრიკეს** ბ ლახანის საავადმყოფო, მარა ვერაფერი იპოვეს. ეს მეოთხეთ გაჩხრიკეს ეს სამკურნალო („ჭარ".).

✦ ერევნიდან გვწერენ, რომ გაჩხრიკეს მგზავრა, ვინმე მნაცაკანიანი და უპოვეს **ხუთი ფუთი თოფის წამალი.** მგზავრი შეიპყრეს („ჭარ".).

✦ სტ. სლეპცოვსკაია (თერგის ოლქი). 7 მარტს გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით სამსახურიდან გადააყენეს ატამანი პატრონების დაკარგვისა და მატინგის გამო.

✦ „ჭარაფის" სიტყვით, გუშინ გაიფიცენ ნერსესიან სასულიერო სემინარიის მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კლასები. მოითხოვენ, სხვათა შორის, ცალკე ოთახს თავიანთ კრებებისათვის.

✦ ითარგმნება „ცოლქმრობა და თავისუფალი სიყვარული" ე. გუმლოვიჩისა, „ინტელიგენცია და პროლეტარიატი" კაუცკისა, და „მუდმივი ჯარი თუ მილიცია" ბებელისა.

✦ ტამოჟნის მახლობლათ ტრამვაიმ ქვეშ მოიტანა და მარჯვენა ფეხი მოგლიჯა რკინის გზის სასწავლებლის მოსწავლეს რაჟდ. შილიბიშვილს.

## ადგილობრივი პრესა

ნათქვამია, კაცს მტერი იმდენს ვერ ავნებს, რამდენსაც თავის თავიო. სწორეთ ასე დაემართა დაშნაკციუტუნის გაზეთს „ჰარაჯს". ის რაც უფრო გვეკამათება, მით უფრო მახეში ებმება და რომ ეს არ შეიმჩნიოს სიტყვას ბანზე აგდებს და თავმომწონეთ ყოყოჩობს. ჩვენ წამოვაყენეთ მის წინააღმდეგ ორი ბრალდება: „დაშნაკციუტუნი" არ არის რევოლიუციური პარტია, „ჰარაჯმა" დაამახინჯა „სხივის" სიტყვები და შეთხზული ჭორი თავს მოგვახვია) „ელვა" № 1). აი როგორი პასუხი გაგვცა ამაზე „ჰარაჯმა":

„დაშნაკციუტუნი რევოლიუციური პარტია არ არის, მსჯელობდენ „სხივში" და ახლაც იმას იმეორებენ „ელვაში". ჩვენ ამას ვთვლით აშკარა ბალღურ აზრათ და სურვილიც არა გვაქვს ახლა დავსხდეთ და ვამტკიცოთ, რომ „დაშნაკ." რევოლიუციური პარტიაა. მას აქვს 16 წლის სისხლით მორწყული ისტორია, გმირების მთელი რიგი, რომელნიც არ საჭიროებენ მფარველობას".

აი ამას ქვია სიტყვის ბანზე აგდება. ჩვენ ვამბობთ დაშნაკციუტუნი არ არის რევოლიუციური პარტია რუსეთში. ის აქ განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობას არ იღებს. „ჰარაჯი" კი გვიპასუხებს—სათათრეთში ვართ რევოლიუციონერიო! შეიძლება თქვენ სხვა ქვეყნებშიაც რევოლიუციონერი იყვეთ, ბ-ნნო დაშნაკელნო, მარა ჩვენ, რუსეთში მცხოვრებთ, რა გვემატება აქედან? საქმეც იმაშია, რომ თქვენ გულხელდაკრეფილი უცქერით რუსეთში ამტყდარ ბრძოლას და იმავე დროს აქ მომქმედ რევოლიუციურ პარტიებს პირდებით, თქვენთან ვართო. განა სოც.-რევოლიუციონერებმა, ფედერალისტებმა და სხვა პარტიებმა იმიტომ შეკრეს თქვენთან პოლიტიკური კავშირი, რომ სათათრეთში რევოლიუციონერები ხართ? სათათრეთში და სხვაგან ბევრი რევოლიუციური პარტიებია, მაგრამ მათთან კავშირი არ შეუკრავთ. ცხადია, ისინი თქვენ გთვლიდენ რევოლიუციონერებათ რუსეთში, ამაში თქვენ არწმუნებდით ყველას და აი ახლა იძახით, არა ჩვენ სათათრეთში ვართ რევოლიუციონერნიო! ამაზე მეტი თავის თავის გაწკეპვლა კიდევ შეიძლება? ამიერიდან მაინც ამ პარტიებს თვალები აეხილებათ, თუ უკვე ახილული არ აქვთ, და ასეთ მოკავშირეს შესაფერ მსჯავრს დასდებენ.

როგორც ხედავთ, „ჰარაჯი" პირდაპირ ამტკიცებს ჩვენს ბრალდებას—დაშნაკციუტუნი აქ, რუსეთში არ არის რევოლიუციური პარტიაო.

ახლა ჩვენ შევეკითხებით მას: რატომ, რა მოსაზრებით შეუკავშირდა. შარშან დაშნაკცუტიუნი რუსეთის რევოლიუციურ პარტიებს? თუ კი რუსეთის რევოლიუციაში მონაწილეობას არ იღებთ, რათ გინდოდათ ეს კავშირი? იმედია ამის პასუხს მივიღებთ, თუ კი აქვთ, რასაკვირველია, რაიმე საპასუხო.

ჩვენს მეორე ბრალდებას—ციტატის დამახინჯებას—ასე ხსნის მამაცი „ჰარაჯი": მართალია ქართველებთან ერთად „სხივში" სხვა კავკასიის ერებიც არის ნახსენები, მართალია დასავლეთთან ერთათ ჩრდილოეთი კავკასიაც სწერია, მაგრამ იქვე ესეც სწერიაო: „ამ მხრით (გლეხთა მოძრაობით) ჩვენმა ქვეყანამ თავი მართლაც ისახელა" და სხ. ხოლო ეს „ჩვენი ქვეყანა" კი საქართველოაო. ამიტომ „შოვინისტები" ხართო და სხ. აი ბრძენი რედაქცია! ალბათ ის ყველას თავის არშინით ზომავს, ალბათ თვითონ როცა ამბობს „ჩვენი ქვეყანაო", თავის ეზოს აქით არ იხედება. „სხივში" კი ნათლათ ჩანს, რომ ეს „ჩვენი ქვეყანა" ნათქვამია რევოლიუციურ კავკასიაზე და არა მარტო მის ერთ კუთხეზე. აი „სხივის" სიტყვები:

„ამიტომ ადვილათ შეიძლება **ჩვენში** რევოლიუციამ გაიმარჯვოს, როგორც გლეხთა რევოლიუციამ. თუ კი გლეხობა პროვინციას დაიპყრობს და იქ გამაგრდება, ქალაქების დაპყრობაც არ გაუჭირდება. და უნდა ვიფიქროთ, **კავკასიის** რევოლიუცია ამ გზით იწარმოებს".

როგორც ხედავთ, აქ „ჩვენში"-ს მაგიერ ნახმარია არა საქართველო, არამედ კავკასია, ლაპარაკია კავკასიის რევოლიუციაზე, სტატიის სახელიც ასეთია „რუსეთის რევოლიუცია და **კავკასია**" და არა საქართველო; სტატიაც ასე თავდება: „რევოლიუცია აქ შესაძლებელია დასავლეთში და **ჩრდილოეთში,** ხოლო თვით რევოლიუცია იქნება უმთავრესათ გლეხთა რევოლიუცია". ერთი სიტყვით მთელი წერილიდან ნათლათ ჩანს, რომ საუბარია კავკასიაზე; „აქ", „ჩვენში", „ჩვენი ქვეყანა" ნახმარია კავკასიის ალაგას და მიუხედავათ ყველა ამის „ჰარაჯი" გაიძახის, მარტო საქართველოზე ლაპარაკობთო! რა ქვია ამას, ურცხვობა თუ უვიცობა?

ეს თავისი აშკარა ცილისწამება რომ კარგათ დაფაროს, „ჰარაჯი" ლანძღვას მოყოლია, კავკასიის სოციალდემოკრატიას უწოდებს „ქართულ შოვინისტურ „სოციალდემოკრატიულათ" წოდებულ პარტიას". ამ ვაჟბატონებს ამდენ ხანს ვერ გაუგიათ ის, რომ რუსეთში არსებობს მხოლოდ ერთი სოც. დემ. პარტია, ხოლო აქაური ორგანიზაციები შეადგენენ პარტიის ნაწილს და არა პარტიას. მეორეთ, ჩვენში (ე. ი. კავკასიაში, ეს განმარტება საჭიროა მარტო „ჰარაჯისათვის", სხვამ ყველამ იცის), ვიმეორებთ, ჩვენში არავითარი **ქართული** სოციალდემოკრატიული „პარტია" არ არის,

---

# ფელეტონი

## ნ ა წ ყ ვ ე ტ ი

(ვუძღვი „ელვას").

თუმც „განთიადს", დილის მორბედს,
გადაეკრა ზედ ღრუბელი,
დაბნელდა მოკაშკაშე,
ჩაგრულთ სატრფო, საყვარელი;
მაგრამ მყისვე გაკრა „ელვამ",
ღრუბელს გული დაუსერა
და დასჭექა მედგარი ხმით:
„ძირს მტარვალი გაიძვერა"!

ვ. რუხაძე.

### ახალი ხანა ინგლისის მუშების ისტორიაში.

(თარგმანი)

ინგლისის მთავრობის პოლიტიკა ახალ გაჭირებას უქადდა მუშებს და მთელ სახელმწიფოს. ეს პოლიტიკა უბრალო შემთხვევა როდი იყო. ეს პოლიტიკა აიხსნება ინგლისის მდგომარეობით კაპიტალისტურ ქვეყნებთა შორის. ინგლისის კაპიტალმა გზა გაუკაფა კაპიტალისტურ ექსპლოატაციას მთელ დედამიწის ზურგზე. ის შეიჭრა სხვა და სხვა ქვეყნებში, დაარბია ადგილობრივი ხალხები, გაანადგურა იმათი პირვანდელი კულტურა და სახელმწიფო წესწყობილება და ყველა ამათ მაგიერათ გაამეფა თავისებური საზოგადოებრივი წყობილება. მაგრამ, როცა დედამიწის ნახევარი კაპიტალისტურ სახელმწიფოებათ გადაიქცა, თავიანთ მხრით ამ სახელმწიფოებმაც იაფ-ფასიანი საქონლებით ძირი გამოუთხარეს ინგლისის ბატონობას შინ და გარეთაც. ყველაზე უფრო საგრძნობელი გერმანიის კონკურენცია იყო. ოსტ ინდიაშიაც კი, სადაც ინგლისის კაპიტალი ას წლობით უკანტროლოთ ბატონობდა, გერმანიის ვაჭრებმა თანდათან გამოაცალეს ფეხქვეშ ნიადაგი ინგლისსას. სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებმა კი სადამოჟნო გადასახადებით დაახწიეს თავი ინგლისის კონკურენციას. იგინმა გზა შეუკრეს ინგლისის საქონელს, მაშინ როდესაც იმათი საქონელი თავისუფლათ დასეირნობდა ინგლისის ბაზრებზე. ამასთან ერთათ ნიადაგს იმზადებდა უკმაყოფილება და საჭიროების დროს შეტაკებაც ინგლისსა და სხვა ქვეყნებს შორის. ამას დაუმატოთ რუსეთის პოლიტიკაც, რომელსაც შეეძლო, თუ არა მაინც ცდილობდა გაეფართოებია საზღვრები და ემუქრებოდა ინგლისს ერთ და იმავე დროს, როგორც შორეულ აღმოსავლეთში, ისე ცენტრალურ აზიასა და აღმოსავლეთ ევროპაში. ამგვარათ ინგლისის კაპიტალი ძალაუნებურათ უნდა დაფიქრებულიყო და რამე ზომა მიეღო, რომ მსოფლიო ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობა ტკბილ მოგონებათ არ გადაქცეოდა. და მართლაც ყოველთვის ფრთხილმა და წინდახედულმა ინგლისმა ჩემბერლენის და მთელი კონსერვატორთა პარტიის ლოცვა-კურთხევით ახალი ქვეყნების დაპყრობას მიჰყო ხელი. ამ პოლიტიკამ გამოიწვია ისეთი ყოვლად დასაძრახი მოვლენა, როგორიც იყო ომი ინგლისელებსა და ბურებს შორის. ეს პირველი ფაქტი იყო, რომელმაც აიძულა ინგლისის მუშები მთავრობას ოპოზიციაში ჩასდგომოდენ, მისი მოქმედება გაეკიცხათ. ამ ომის შედეგმა კიდევ უფრო გააძლიერა მუშების პროტესტი. თავისუფალი ხალხი გაანადგურეს, ამ ხალხის განადგურებას ინგლისმა ბევრი ახალგაზრდათა სიცოცხლე და მილიონობით ფული შესწირა. მერმე იცით ყველა ეს რისთვის?! მხოლოდ იმიტომ, რომ მილიონერთა ბრბოს მთავრობის მფარველობის ქვეშ სამხრეთ აფრიკის განადგურების შემდეგ თავისუფლათ ეწუწნათ თეთრ და შავ-კანიან მუშების სისხლი! მაგრამ ბურებთან ომი მარტო პირველი გაბედული ნაბიჯი იყო გადადგმული ეგრეთ წოდებულ იმპერიალიზმისკენ. ინგლისის იმპერიალიზმი—ეს არის შეერთება ერთ დიდ სახელმწიფო, იმპერიათ. ინგლისს, რომ ეს აზრი განეხორციელებია, მაშინ სადამოჟნო გადასახადებით გზას შეუკრავდა სხვა სახელმწიფოთა საქონლებს, რაც უხვათ შექონდათ, როგორც ინგლისში ისე მის ახალშენებში. გაბატონდებოდა ინგლისი ამგვარათ მსოფლიო ბაზარზე თუ ვერა ეს ძნელი გადასაწყვეტია. მაგიერში ბევრი ლაპარაკი არ უნდა იმას, რომ ეს პოლიტიკა წელში გასტეხდა ინგლისის ხალხს. სადამოჟნო სისტემა გააძვირებდა ცხოვრებისთვის აუცილებლათ საჭირო საჭმელ-სასმელს. მაშასადამე ხალხს აუცილებელი საზრდო უნდა მოკლებოდა, მარტო იმისთვის, რომ ისედაც მდიდარი კაპიტალისტები კიდევ უფრო გამდიდრებულიყვენ, გარდა ამისა იმპერიალიზმს რომ გაემარჯვა, მაშინ ომის აჩრდილი სამუდამოთ მოიკალთავებდა ინგლისის გარიზონტზე. ეს შიში ისეთი ძლიერი იყო, რომ მთავრობა უსირცხვილოთ ითხოვდა ჯარის გაძლიერებას, ხოლო დიდი ჯარის შენახვა ხალხისთვის დიდ გადასახადებს ნიშნავს. ყველა ეს ხალხს უნდა დასწოლოდა კისერზე. ამისთვის გასაკვირალი არ არის თუ ხალხი წყევლა-კრულვით იხსენიებდა მთავრობას. ყველა ამის შედეგი იყო უკანასკნელ არჩევნების ნაყოფი.

ეხლა ვიკითხოთ, რითი აიხსნება, რომ მუშები ლიბერალებს არ შეუერთდენ კონსერვატორებთან საბრძოლველათ და თავიანთი საკუთარი, მუშათა პარტია დაიარსეს? ჩვენ ზევით დავასახელეთ რამდენიმე ფაქტი, საიდანაც ნათლათ ჩანს მუშათა პარტიის დაარსების აუცილებლობა. მუშებმა თანდათან დაკარგეს ნდობა ლიბერალებისადმი. კონსერვატიულ და ლიბერალურ პარტიათა შორის წინათ ინგლისში ძირითადი განსხვავება არსებობდა: პირველი იყო მსხვილ მემამულეების პარტია, ხოლო მეორე—ფაბრიკანტების. მემამულეები კონსერვატორები იყვნენ, ე. ი. სურდათ ძველი წესწყობილება არ გაუქმებულიყო, რადგან ამ წესწყობილების დროს მთელი სახელმწიფოს ბედ იღბალი მათ ხელში იყო. ლიბერალები კი ცდილობდენ თვითონ მოქცეოდათ სახელმწიფოს მართვა-გამგეობას სათავეში და ამიტომ კრიჭაში უდგენ კონსერვატორებს. მაგრამ რაკი საარჩევნო უფლება გაფართოვდა, კონსერვატორების ბატონობასაც ფრთები შეეკვეცა. ამასთანავე კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთათ მემამულეთა და ფაბრიკანტების ინტერესები ერთი და იგივე შეიქმნა. წინანდელი ძირითადი განსხვავება მათ შორის უკვე გაქრა. ამ ინტერესთა შეერთების დროს რამდენიმე წევრი ჩამოეცალა ორთავე პარტიას, რომელთაც თავი მოიყარეს ორ სკამზე მჯდომარე უნიონისტთა პარტიაში. საქმე ეხლა ისე მოეწყო, რომ, როცა უფლება ლიბერალების ხელშია, კონსერვატორები, რასაკვირველია, თავგამოდებით ეწევიან აგიტაციას იმათ წინააღმდეგ, რომ თვითონ დაიჭირონ იმათი ადგილი; პირიქით, თუ კონსერვატორები გაბატონდენ, მაშინ ლიბერალები უდგებიან მათ ოპოზიციაში. მაგრამ ამ პარტიათა შორის არავითარი საშნიშვნელო განსხვავება არ არის: შავი და რუხი მგელი—ორივე ერთია.

ინგლისის მუშებმა კარგათ იცოდენ, რომ თუმცა ლიბერალები თავ-გამოდებით იბრძოდენ კონსერვატორების წინააღმდეგ, მაგრამ მუშა ხალხის მდგომარეობა იმათი გამარჯვებით არ გაუმჯობესდებოდა. და მართლაც ვინ იქნება ისეთი ხეპრე თვითონ დანა გამოისვას ყელში; ლიბერალები როგორც მდიდართა პარტია ყოველთვის მუშათა ინტერესების წინააღმდეგნი არიან. მხოლოდ ლიბერალები მელა-კუდაობენ იქ, სადაც კონსერვატორები პირდაპირ ხმალ-ამოღებული მოდიან. რაკი მუშები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ლიბერალები გამარჯვებისთანავე ხალხს უღალატებდენ, ამიტომ იმათ საკუთარი კანდიდატები წამოაყენეს.

ლიბერალთა ღალატი პირველათვე აშკარა იყო. იგინმა არჩევნების დროსვე უღალატეს ხალხს. ამას ნათელს ყოფს ის ფაქტი, რომ ლიბერალებმა რამდენიმე კანდიდატი წამოაყენეს მუშების წინააღმდეგ, თუმცა პირობა დასდეს ეს არ ჩაედინათ. ამნაირათ მუშები ორი პარტიის წინააღმდეგ იბრძოდენ: კონსერვატორების და ლიბერალების.

ეხლა ლიბერალები სწორეთ იმ ტახტზე წამოსკუპდენ, რომლიდანაც კონსერვატორები ჩამოაგდეს. ეხლა თუ ინგლისს რაიმე უბედურება ეწვია ლიბერალებია პასუხისმგებელნი. მსოფლიო პოლიტიკური მდგო-

...მხოლოდ ერთი კავკასიის სოციალდე[მოკ]რატია, სადაც შედიან ქართველები, ... სომხები, ოსები და სხ. ამათ აღგი... ცენტრალურ ორგანიზაციას ეწო[დება] კავკასიის ბიურო, კავკასიის კავშირი ... შედის როგორც ქართველი, ისე ... [ქა]რთველი. ეს არის „ქართული პარ[ტია]" ... ქვია ამას, ურცხვობა თუ უვი[ცობა]?

... შეეხება სიტყვა „შოვინისტური" ... ალბათ „ჰარაჯი" გაიძახის თანახმათ ან... გაღმა გაედავე და გამოღმა შეგრ..., ე. ი. რომ თვითონ დამალოს თავ... ვიწრო ნაციონალიზმი და შოვინიზმი, ... იძახის, შოვინიზმი ჩვენ არ დაგვა[ბრალო]თ, თქვენში მოძებნეთო. და აი, ... ამისთვის დასჭირდა „ჰარაჯს" „სხი... აზრის დამახინჯება, რომ ამით ჩვენი [შ]ოვინისტობა" დაესაბუთებინა. ტყუილს ... ფეხები აქვს და „ჰარაჯის" ტყუილი ... ვერ საბუთობს. მაგრამ მტყუანს ...მდის მიყევიო ნათქვამია და აქაც მივ... კარამდის „ჰარაჯს". ვთქვათ ჩვენ ... შევაქეთ ქართველი გლეხის რევო[ლ]უციონერობა. განა ამას ეწოდება „შო[ვ]ინიზმი"? ბრძენო „ჰარაჯო", შოვინიზმი ...დება ერთი ერის წასისინებას მეორე[ზე] და მით ეროვნული შუღლის და ბრძო[ლ]ის გამოწვევას. ახლა მითხარით, რა კავ[ში]რი აქვს ასეთ მოღვაწეობას რომელიმე ...ის გლეხების ან მუშების რევოლიუციუ[რ] მოძრაობის ქებასთან? ეს ხომ პირიქით [მი]საბაძავი მაგალითია სხვა ერების მუშა[თა]თვის და არა ერთი მეორეზე წასი[სინე]ბა. ფრანგებმა რომ გვითხრან, წაბაძეთ ... დიდ რევოლიუციასო—შოვინიზმი ...ბა? ნუ თუ „ჰარაჯმა" „შოვინიზმიც" ... არ იცის რა არის? ნუ თუ ეს მართლა ... უვიცობაა და არა ურცხვობა?

... ასე იწკეპლავს თავის თავს ბრძენი „ჰარაჯი". მარა ის არც ამით დაკმაყოფი[ლ]ებულა და თავის სახათაბალოთ „შეთან[ხმ]ების ბიუროსაც" იხსენიებს. თავგზა კა... გამოთხარათ—ეს არის და ჩვენც ჰარა[ჯ]ელთა ამ საგმირო მოქმედებაზე ხვალ მო[ვ]ილაპარაკებთ.

---

## კ ა ვ კ ა ს ი ა.

**ს. კურდღელაური.** (რწმუნებულების ამორჩევა). თელავის მაზრაში სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები უკვე დაიწყო; 12 მარტს ს. კურდღელაურში გლეხებმა ამოარჩიეს რწმუნებულები. რწმუნებლების ამორჩევა პოლიციამ რაღაც განზრახვით, სრულიათ მოულოდნელათ გამოუცხადა ხალხს, სწორეთ იმ დროს, როდესაც მცხოვრებთა უმრავლესობა სოფელში არ იყო, რის გამოც საარჩევნო კრებას მხოლოდ 300-მდე კაცი დაესწრო, მაშინ როდესაც ს. კურდღელაურში სულ 550 კომლი მცხოვრებელი იქნება. გლეხებმა ასეთი მცირე-რიცხოვანი კრება უკანონოთ სცნეს და გადასწყვიტეს არჩევნების გადადება შემდეგისთვის, ვიდრე ყველას შეტყობინებდენ, მაგრამ ადმინისტრაციამ ამის ნება არ მისცა ხალხს. ამ გარემოებამ ძალიან ააღელვა ხალხი, ისე რომ კრება ის იყო კინაღამ დაიშალა, მაგრამ დრო და გარემოება თხოულობდა კრების ასე თუ ისე გაგრძელებას. ერთმა შეგნებულ გლეხთაგანმა ხალხის მაგიერ მამასახლისს და მწერალს შეეკითხა: რა არის სათათბირო? სათათბიროა დღეს საჭირო, თუ დამფუძნებელი კრებაო? ამ შეკითხვაზე სულ მთლათ დაიბნენ მამასახლისიც, ნაცვალიც და მწერალიც, ვერც ერთმა ვერაფერი პასუხი ვერ მისცა ხალხს. ბოლოს მამასახლისმა განაცხადა: მე მხოლოდ ნაბრძანები მაქვს რწმუნებულები ამორჩევინოთ, და თუ ყაბულს არა ხართ, ან მე არ გინდივართ, მითხარით და წავალ აქედანო. ხალხმა შესძახა: „ჩვენ არც დაგვიყენებიხარ შენ, არც გადაგაყენებთ; ჩვენთვის სულ ერთია, თუნდ წადი, თუნდ აქ იყავი; ჩვენ ჩვენსას განვაგრძობთ, მხოლოდ იცოდე, რომ როგორც აქამდი გიტყუებივართ ისე ველარ მოგვატყუებთო. ამას შემდეგ ორატორი გლეხი ავიდა სკამზე, გადავლო გლეხებს მთელი მისი სიყალბე. გაურკვია და აუხსნა გლეხებს თუ რა გარჩევაა „დუმას" და დამფუძნებელ კრებას შორის. „დამფუძნებელი კრება", ეს ის კრებაა, რომელმაც უნდა გაშინჯოს ყველა ძველი კანონი ყველაფერი, რაც უვარგისია იმაში ხალხისათვის—უარყოს და იმათ მაგივრათ დაამტკიცოს დაადგინოს, დააკანონოს, დააფუძნოს ხალხისთვის საჭირო ახალი კანონები ...ლ სამართალი"-ო.

„სათათბირო კრებას კი არამც თუ ძველი კანონების გამოცვლის და იმათ მაგიერ ახალი კანონების შედგენის ნება არა აქვს, ამას ზოგიერთ კანონებზე უბრალო თათბირის ნებაც კი არა აქვს"-ო.

„რომ დამფუძნებელი კრება მთელი ხალხის სურვილის გამომხატველი იყოს, იმის დეპუტატები მთელი ხალხისგან უნდა იყოს ამორჩეული, წოდებისა და ქონების განურჩევლათ. სახელმწიფო სათათბიროსთვის წარმომადგენლების ამორჩევაში კი ღარიბალი გლეხკაცობა და მუშა ხალხი მოკლებულია მონაწილეობის მიღების უფლებას, იმიტომ, რომ ისინი ღარიბები არიან და ქონება არა აქვთო... ისე რომ სახელმწიფო სათათბიროში მუშების წარმომადგენლები ან სულ ვერ მოყვებიან, ან თუ მოყვებიან, ისე ცოტა, რომ იმათ არავინ არაფერს გაუგონებსო.

შემდეგ ორატორი შეეხო და გაარკვია ის, თუ რა გარჩევაა პირდაპირ არჩევნების სისტემასა და სამ-ოთხ სართულიან არჩევნებითი სისტემის შუა; „მთავრობას უნდა, რომ სახელმწ. სათათბიროსთვის რამდენჯერმე გაცხავოს ჩვენი ამორჩეული კაცები და ბოლოს, რაც დარჩება ცხავში ნაძირალი, ის მიიყვანოს სათათბირო კრებაზეო".

გაარკვია რა დამფუძნებელ კრებას და სათათბირო კრებას შორის გარჩევა, ორატორმა დასძინა: „დღეს დრო დამფუძნებელ კრებას თხოულობს და საჭიროებს და არა რაღაც სათათბირო კრებას; მაგრამ მთავრობა დამფუძნებელ კრებას თავის დღეში არ მოიწვევს: ეს ჩვენ, ხალხმა, ჩვენის ძალით უნდა მოვიწვიოთო; თუ მთავრობა სათათბირო კრებას იწვევს, ის მხოლოდ ხალხის მოსატყუებლათ ხალხის გულის მოსაგებათ და იმით თავის გაჭირვებულ საქმის გასასწორებლათ. ნამდვილათ კი იმას ხალხისთვის არაფერი არ ემეტება და გაძარცვა-გაყვლეფის გარდა არაფრის მოცემა არ შეუძლიან. პირიქით, ის სულ მუდამ იმათ დევნა წამებაშია. ვისაც კი ხალხისთვის გული შეტკივა და თავი დაუდვია, დღეს ციხეები სულ სავსეა მთავრობის მიერ დაჭერილ და ხალხისთვის თავდადებულ პირებისგან"-ო. ახსნა ცხრა თუ არა ორატორმა, აქ კი ველარ მოითმინა ბრაზმორეულმა ნაცვალმა და თავგამოდებით გაექანა ორატორისკენ, მის დასაჭერათ: „შენ შენი დრო ხომ არა გგონია, წავიდა ის დრო, როცა ტაბურეტკებიდან ისე თამამათ ლაპარაკობდით ხოლმე... ჩამოდი ჩქარა მანდიდან!

ორატორმა შუბლიც არ შეიჭმუხნა: „შენ კი არა, შენისთანა მშიერი ტურები თხუთმეტი რომ მოვიდეს, მე მაინც არ ჩამოვალ აქედანო. მე ხალხი მიყვარს და რათაც უნდა დამიჯდეს, უნდა გავაგებინო ხალხს თქვენი ავკარგიანობაო".

ნაცვლის საქციელით და გლეხის სიტყვების გაგონებით ხალხი ისე აღელდა, რომ რამდენიმე იმათგანმა კინაღამ კარგათ მიაყოლეს ნაცვალს, მაგრამ იმან იკადრა გაჩუმება და უკან დახევა.

აღელვებული ხალხი ძლივს დააშვიდა მოლაპარაკე გლეხმა, შემდეგ კვლავ განუმარტა სათათბირო კრების სიყალბე, სიფუჭავეტე; „მაგრამ, რომ ჩვენ უფრო კარგათ დავრწმუნდეთ ყველა ჩემს ნალაპარაკევში, მივიღოთ მონაწილეობა არჩევნებში და თითონ კრებაშიც, თუ იქამდე მივვახწევინებენ"-ო; „ვნახოთ, აბა რას მოგვცემს მთავრობა იცოდეთ, ამხანაგებო, რომ ჩვენი ამორჩეული კაცები დიდ სახიფათო ალაგს მიდიან; იცოდეთ, რომ იმათ, ჩვენს სასარგებლოს არავინ არაფერს არ გაუგონებს; შეიძლება გზაშიც დაიჭირონ სადმე, მაგრამ ჩვენ მაინც კიდევ ვცადოთ, რომ გამოცდილებით დავრწმუნდეთ და დავარწმუნოთ ჩემს ნათქვამში ყველა ჩვენი შეუგნებელი გლეხები, რომლებსაც მთავრობის იმედი კიდევ არ დაკარგვია მთლათ და კიდევ რაღაც მოწყალებას გამოელიან მისგან"-ო.

ლაპარაკის დროს ორატორი გლეხი შეეხო იმასაც რომ, სათათბირო კრებაზე ჩვენმა დეპუტატმა უპირველესათ ყოვლისა უნდა დამფუძნებელი კრების მოწვევა მოითხოვოსო, ჩვენ კი აქედგან, როგორც ამ მოთხოვნილების გატანაში ისე სხვებში, შეძლების და გვარათ, მხარი უნდა დაუჭიროთო.

ასე დაამთავრა გლეხმა ორატორმა თავისი ვრცელი სიტყვა.

ამის შემდეგ გლეხები შეუდგენ რწმუნებულების ამორჩევას. არავითარ ცენზისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. „ჩვენ ცენზი არ ვიცით; ჩვენ ყველამ უნდა მივიღოთ მონაწილეობა არჩევნებშიო; ისეთი კაცები უნდა ამოვირჩიოთ, რომლებმაც ჩვენი გაჭირვება-უბედურობა კარგათ იციან და რომლებიც მდიდრებს და მთავრობას არ დაუჭერენ მხარსო". რწმუნებულებათ 51 კაცი აირჩიეს; რწმუნებულებში რამდენიმე სოციალდემოკრატი გლეხიც არის.

ნ—ო.

---

**დ. ჭიათურა.** როგორც სხვა ადგილებში, ისე ჭიათურაშიაც ისახელეს თავი მთავრობის ბნელმა ძალებმა, დაბის აწიოკების და აოხრების შემდეგ აფიცრები კაზაკებით გაეშურენ სანადიროთ დაბის ახლო მდებარე სოფლებში. სოფლები სულ ააწიოკეს და ააოხრეს, ბევრ ადგილას დასწვეს კიდეც რამოდენიმე სახლები. ისეთი დღე არ გავლის, რომ სოფლებიდან ან დაჭერილი ვინმე არ ჩამოიყვანონ, ან ნაძარცვი არ ჩამოიტანონ. ხშირათ მოაქვთ ძველი კაჯის თოფები და ხანჯლები. 11 მარტს დაბა ჭიათურაში საღამოს 9 საათზე კაზაკებმა, აფიცრის წინამძღოლობით შეიჭრეს დუქანში რამოდენიმე კაცი; მათ შორის იყვნენ აგრეთვე გიორგი წერეთელი და ნოე ჩხაკაძე. დაჭერილები ყველა განთავისუფლეს, მხოლოდ წერეთელი და ჩხაკაძე საპყრობილეში წაიყვანეს. როგორც გადმოგვცეს, ისინი კაზაკებს ძლიერ გაულახავთ. 13 მარტს დილით აფიცრები 60-დე კაზაკებით წავიდენ დაბის ახლო მდებარე სოფ. კაცხში. მცხოვრებნი შიშმა შეიპყრო, თვითოეული მათგანი მოელოდა ოჯახისა და ცოლშვილის აოხრებას რომ უბედურება თავიდან აეცდინათ, მცხოვრებნი შეკრებილან და კაზაკებისათვის კარგი სადილი გაუმართავთ. შეზარხოშებულნი კაზაკები გადასულან იქვე მდებარე ნ. ნაგარძეთში. იქ თავს დასხმიან ვიღაც ვიოშიძეს. ვიოშიძე ვეღარ შეუპყრიათ და სამაგიეროთ მისი სახლ-კარი გადაუწვავთ. ცეცხლი მეზობლის სახლ-კარსაც მოსდებია და დაუწვავს. ამასთანა საგმირო საქმეებში ბატონ აფიცრებიც დიდ უნარს იჩენენ.

ხტუმარი

---

**სად. მიხაილოვი.** რა ერიგნების თვითმპყრობელი განდათ, რომ ვერ ნახოთ ამ ჩვენ დალოცვილ ქვეყანაში, ფრანცია, ინგლისელი, გერმანელი და ათასი სხვა.

ერთი ასეთი გვარიტონი ჩვენი ბევრს, ეს არის ინგლისელი მეპატი. თავის ქვეყანაში მას აღარაფერი გასავალი არა აქვს, მაგრამ ჩვენში ის ინჟინერის როლს ასრულებს რკინის გზაზე. თუ რამდენათ ძარცვავს ის რკინის გზას, კარგა ხანია დამტკიცდა თვით ბიუროკრატიის კონტროლმა (რომელზეც ამბობენ ამ გვამით მეტეხის ციხეში ზის, როგორც ამბობენ ამ გვარიტონის მეოხებით), მაგრამ მთავრობა მაინც მოწიწებით ექცევა მას და ან როგორ არ მოექცეს? ახლა რევოლიუცია თავი თუ არა, ის მაშინვე გამოძვრა სოროდან, ჯარს, რომელმაც ცეცხლით და მახვილით გაანადგურა მთელი მახლობლოვე, ხელმძღვანელობა გაუწია, გადაასახლებინა და დაატუსაღებინა ბევრი მოსამსახურე, თავისი მხრით დაითხოვა სამოცამდე მუშა და თუმცა განკარგულებს მაინც რკინის გზის უფროსიდან მოისევ უკან მიღებისა, მაგრამ რეჟიმისებს არ იმის და დათხოვნას განაგრძობს; დღიური ხელფასი დასწია 80 კაპეიკიდან სამ შაურამდე ასეთი მუქარით: „აბა გაბედავთ და არ იმუშავებთ, სოფლებში ჯარს ჩაგიყენებთ, გაგანადგურებთ, ძაღლათ გამუშავებთ და ფულსაც არ მოგცემთო"... ძლიერ ცხარობთ ბ. მეპატი!

აქ იქნება სათათბიროსთვის რწმუნებულების არჩევნები, მაგრამ მუშას და მოხელეებს კიდეც რომ უნდოდეთ მონაწილეობის მიღება, უფლება მაინც არა აქვთ ამისი.

იქაური მუშა.

---

**ს. კაცხი.** კაცხის საზოგადოებას წინეთაც არ დაკლებია საშინელი ტანჯვა, მაგრამ პირველ მარტს კი მთელი ჟლეტის გამოიარა. მარტის პირველს აქ მოვიდა ცამეტი პლასტუნი; მათ წინ მოუძღოდა პლასტონ ცეცხლი. თავს დაეცნენ არქიპო გრიგოლის ძე მოდებაძეს და მისი სახლ-კარი ცეცხლით მიწასთან გაასწორეს. შემდეგ თითონ მოდებაძეც დაიჭირეს და საშინლათ აწამეს. მას ხელვია კაცხის მამასახლისი. გაცემის შემდეგ მამასახლისს უთქვამს მოდებაძისთვის ახლა კი გაიქეცით. როდესაც არქიპო მოდებაძე გაქცეულა, მამასახლისს სულ სხვა განკარგულება მიუცია პლასტუნებისათვის და ასი ფეხის ნაბიჯზე არქიპო ტყვიით მოუკლავთ, როგორც გაქცეული. ამნაირი უწესობის შემდეგ მისდებიან სოფელს და ბევრი ნივთეულობა წაუღიათ.

ნ. უ.

---

**სამტრედია.** ამ მხარემ ბევრათ თუ ცოტათ დააკმაყოფილა გაათვითცნობიერებული რეაქცია. პატრიოტთა შესაიარაღებლათ გაგზავნა სამაზრო პოლიციაში მამაპაპეული კაჟ-ჩახმახიანი ფილითა თოფები; სხვა თოფებს, ხომ აქ დიოგენის ლამფის საშუალებითაც ვერ იპოვით. უთოფოთ დარჩენილი გლეხები ძლიერ შეწუხებული არიან უაგურობიდან ყანებში და ორფეხა და ოთხფეხა ნადირებისაგან კარმიდამოებში.

აქაურმა მოწინავე მუშებმა გადასწყვიტეს სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის მიღება და კიდეც გახადეს არჩევნები.

კულაშის საზოგადოების არჩევნები დასრულდა 14 ამ თვეს. არჩევნებმა კარგათ ჩაიარეს. ხალხმა ისინი აირჩია ვინც უნდოდათ. ეწერის საზოგადოების არჩევნები დასრულდა 15 ამ თვეს. ეწრის საზ. სამღვდელოების და აზნაურების შეერთებულ კრებას აურჩევია ყველა მოწინავე პირები გარდა ერთის მღვდლისა, რომელიც რეაქციონერია. იმავე კრებას მოუთხოვია ერთხმათ არჩეულებისაგან: ენერგიულათ ეცადონ და გაატარონ საბოჭულოს არჩევნებში და სხვებშიაც (თუ ზოგიერთ მათგანს მოუხდათ სამაზრო არჩევნებში წასვლა) ერთი არჩეულთაგანი ნ. ბ. კალაძე. სამტრედიის საბოქაულოდან, როგორც ისმის, იგზავნება სამაზ. არჩევნებში 18 რწმუნებული. თფილისის პატრიოტულ საზოგადოების სულის ჩამდგმელ „ნაკურთხ" გოროდეცკს მოუსურვებია თავისი მოძღვრების სოფლებში გატანა და ამ მიზნის მასახწევ საშუალებით სკოლების და მასწავლებლების გახელკენება. ამ თვითმპყრობელობის ბოძუკას დაურიგებია აქაურ დირექციის სკოლებისათვის (სრულიად კავკასიის სკოლებსაც მოაწვდია) ჟამუშნი და ჟურნალი! საიქიო თქვენთვის დაგვილოცია მხოლოთ აქ, ამ ქვეყანაში ფეხებში ნუ გვებანდებით! ტყუილათ იღჯება ბ-ნი გოროდეცკი. მასწავლებლები ამ ორგანოს ფურცლებს არა ჩვეულებრივი პატივისცემით ეპყრობიან. თქვენისთანა სულიერ „მამებში" თუ იპოვით მეგობრებს თორემ მასწავლებლები დიდიხანია, ხელს ამოუდგენ გვერდში. აქაურ სკოლებთან არსებობს თანახმად მასწავლებელთა კავშირის დადგენილებისა კომისიები და სამზრუნველოები მთავრობის მხრივ. მათ მოღვაწეობაზე ჯერ ჯერობით არაფერი ითქმის. მხოლოდ ეს ვიცი, რომ ერთ აქაურ სკოლაში ანგარიშების შესასწორებლათ მოწვეულ კომისიის და სამზრუნველოს ზოგიერთ წევრი ბახუსის გავლენის ქვეშ იყვნენ და ერთი იმათგანიც მასწავლებლის მაგიდაზე ჩვრინავდა.

როგორც ისმის, ბაღდადის საბოქაულოს ზოგიერთ სოფლებში გაზეთები უფიდა ჩაუნებული. აქეთ მაისისური დღეებია. მეჩანდეუბა ეკარგის.

მაცია

---

## მ უ შ ა თ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ი დ ა ნ

**თფილისის მოსამსახურეთა მდგომარეობა.** სხვა მებრძოლ ხალხთან ერთად თფილისის მოსამსახურეებმაც გამოჩნდა თავიანთი ნამდვილი მტერ-მოყვარენი. მათაც კარგა ხანია ბრძოლა გამოუცხადეს თავიანთ მეკლუბელ ხაზეინებს და ასეთი ბრძოლის—გაფიცვების შემწეობით მათ კიდეც მიახერხეს თავიანთი მდგომარეობის ცოტათი მაინც გაუმჯობესება, მაგრამ როგორც კი რეაქციამ ფრთები გაშალა, თფილისის სასტუმროების პატრონებმაც, უსაზღვრო ექსპლოატაციის დაწყეულებმა ისარგებლეს ამ გარემოებით, იფეს „ძველი წესების" აღდგენა და შეეცადენ წაართვან მოსამსახურეთ ის მცირედენი გაუმჯობესებაც, რომელიც მათ სისხლით მოიპოვეს.

მრავალ მაგალითთა შორის აღვნიშნავთ ორიოდე ხაზეინის საქციელს. აზიურ ბუფეტის „ტოლი-ბუშურ"-ის ხაზეინმა პირობის ბარათი წარუდგინა თავის მოსამსახურეებს და წინადადება მისცა:—მოაწერეთ ხელი, რომ თქვენ ჯამაგირი არც ქონიათ, არც გაქვთ და არც ამის შემდეგ უნდა აიღოთ, თუ ხელს არ მოაწერთ, მაშინ დაგითხოვთო. მოსამსახურეები ჯერ არ თანხმდებიან და ენახოთ, ვინ დასძლევს.

ბუფეტის „ფუნიკულერ"-ის ხაზეინი არ უშვებს მაღლას წინანდელ მოსამსახურეებს მხოლოდ იმიტომ, რომ შარშან ზაფხულის საზოგადოებრივ მღელვარებაში ბრალი ნაწვერის მეტი არ გადაუხდიათ.

ეს „პროგრესისტი" ამბობს: მოსამსახურეები სულაც აღარ დამჭირდება, რადგან ასეთი „ავტომატი" გამოვიწერე. რომელიც ლუკმაზე უკეთ ასრულებს ყოველ საქმეს.

ბანკის ქარვასლის ხაზეინმა გ. ნ. მ., როცა მოსამსახურეთა ჯგუფმა მას წარმომადგენლები გაუგზავნა იმის საკითხავათ, თუ რამდენი მოსამსახურის მომატება დასჭირდება მას მომავალ სეზონისათვის, ეს პასუხი მისცა: თქვენ მოსამსახურეები კი აღარა ხართ, განაცდები გახდით; 28 წლიდან გაჩრობ და სულ ფულს ვიღებდი, მაგრამ ამ უკანასკნელ ორ წელიწადში კი გზარალობო. ეს ვაჟბატონი მართლაც დიდ ფულს იღებდა და, რა თქმა უნდა, ახლაც იღებს. ამ 30 წლის წინათ 15 მანეთიანი მზარეული იყო და დღეს კი სამ-ოთხ შენობიერი სახლები აქვს წამოჭიმული, რამდენიმე ათი ათასი ფულის ამზითა და სხ. ეს ამოდენა სიმდიდრე ამ წურბელამ, რასაკვირველია, მოსამსახურეებს სატყავა ზურგზე,—ამ მოსამსახურეებს, რომლებსაც ახლა თითონ განაცდებს უწოდებს, რადგან მათ აძულებს თავში ათიოდე მან. ჯამაგირის დანიშვნა და აგრეთვე „კრუჟკის" ფულის მისვლა, რომელსაც ისინი (მოსამსახურენი) დღეში 30 კაპიკამდე. ბ.ბ. ხაზეინებს გონიათ რაკი დამარცხდნენ აღარ გათენდებაო. მაგრამ ახსოვდეთ, რომ „სუსხიან ამინდს თან მოჰყვება ბრწყინვალე დარი".

ხაზეინები თუ რა შვილებიც ბრძანდებიან, ეს ხომ დიდი ხანია კარგათ ვიცით, მაგრამ მათზე არა ნაკლებ დასაგმობი ერთი ის მოსამსახურეთაგანია, რომელსაც თურმე სამი წლის წინათაც კი ვითომ შეგნებულათ და მოსამსახურეთა ინტერესების დამცველათ მოჰქონდა თავი და ახლა კი, რაკი იმის დროის წესებია გამოცხადებული და ამასთან რესტორან „ანონის"-ს ხაზეინისაგან პირველ ნომრობის „ტოტული" ექნია ნაბოძები, უარ უყვია თავისი წინანდელი მასწრაფება და ცდილობს „დახაგრულ ხაზეინებს" დაეხმაროს „ძველი წესების" აღდგენაში.

მოსამსახურე.

---

**თფილისის ლუდის ქარხნებში** 11 მარტს კვიცელისა, ოტტო მაერისა და დიტრიხის „ზავოდ" ზავოდებს ფურგუნზე მომუშავე ჭურჭლებს და კონდუქტორებს შორის მოხდა უთანხმოება. მიზეზი ამისა შემდეგია.

დღემდის „ზავოდ" მზიდავ ფურგუნზე მომუშავე ჭურჭლები ასრულებდნენ ორნაირ საქმეს. როგორც თავის, ის თუ კონდუქტორის მოვალეობას რითაც საწყლები დიდ ტანჯვა წვალებაში იყვნენ. ჭურჭლებმა უარყეს ამ მეტი სამუშაოს შესრულება. მათ უთხრეს კონდუქტორებს: ჩვენ ჩვენ საქმეს შევასრულებთ, რომელიც დავალებული გვაქვს ხაზეინიდგან, ე. ი. მაგალა ცხენებისა, ფურგუნში შებმა და სხვა. მხოლოდ რაც შეეხება ფურგუნიდან ზავოდ სამიე იაშიკის და ზავოდ ხამიე ბოჩკების გადმოტანას და მუშტარიან შეტანას, ეს თქვენი მოვალეობაა და დღეის შემდეგ, ჩვენ აღარა ვასრულებთო.

კონდუქტორებს არ ეპიტნავათ ჭურჭლების ასეთი საქციელი, რადგან დღემდის ეს ვაჟბატონები მუშაობას დაჩვეული არ იყვენ მათი საქმე იყო მხოლოდ დაწერათ ის თუ ვის რამდენი ვედრა „ზავოდ" მისცეს და სადამოზე ფულები მოეღოთ. აი ასეთ შრომით თავისუფალი კონდუ-

---

...მარეობა კი ისეთია, რომ ეს უბედურება გაუცილებელია ინგლისისათვის. მარტო ერთი უწყობს ხელს ინგლისს—ეს არის რუსეთის ძლონობა. მაგიერში თანდათან ძლიერდება გერმანიის და ამერიკის კონკურენცია ბაზარზე. კონსერვატორებიც გაილაშქრებენ ლიბერალების წინააღმდეგ. ყველა ამას ის მოემატება, რომ ლიბერალებს კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარებენ. თავის-თავათ ცხადია, რომ რაკი ლიბერალები თავის ნამდვილ პოლიტიკას ფარდას ახსნიან, თანდათან გამოირკვევა იმათი ხალხის საწინააღმდეგო პოლიტიკა და ხალხიც იმათ ზურგს შეაქცევს.

სულ სხვანაირათ წავა მუშათა ნორჩ პარტიის საქმე. ის ჯერ პასუხის მგებელი არ იქნება, რადგან სახელმწიფოს მართვა-გამგეობას სათავეში არ უდგას. იმისი საქმეა—კრიტიკა. და ის არც დააკლებს ხელს. დეპუტათა საავგენტო ასე იტყობინება: დამოუკიდებელ მუშათა პარტიის წევრებმა გადასწყვიტეს შეადგინონ განსაკუთრებული ჯგუფი და უთველი დონისძიება იხმარონ ლიბერალურ ანუ კონსერვატიულ პარტიებთან შეერთების წინააღმდეგ". ეხლა ინგლისის პარლამენტშიც ორი მოპირდაპირე ძალაა: ბურჟუაზიული პარტიები, რომლებიც კაპიტალიზმის ინტერესებს იცავენ და მუშათა პარტია, რომელიც იცავს ხალხის ინტერესებს ყველა პარტიების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა თანდათან გამწვავდება, რაკი მუშათა პარტია ფეხს მოიკიდებს. ეს ბრძოლა მუშათა პარტიის, როგორც სხვა ქვეყნებში, დააყენებს სოციალდემოკრატიულ გზაზე. ამ გზაზე იმათ თვით ცხოვრების პირობები დააყენებენ: ბურჟუაზიული პარტიები უკვე აშკარათ იძრვიან მუშების წინააღმდეგ. მაგრამ ასე ალალ-ბედზე არ არის საქმე. სოციალიზმის იდეები ყოველთვის პოულობდენ საჭირო ნიადაგს ინგლისის მუშებში. თუ იმათ ამ უკანასკნელ არჩევნების დროს ასეთი შეგნება გამოიჩინეს, აწი კიდევ უფრო იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ინგლისის მუშები უფრო გაბედულათ, უფრო მხნეთ და შეგნებულათ გაილაშქრებენ ყველა ექსპლოატატორთა წინააღმდეგ.

კერძოთ კი, თუ მივიღებთ სახეში ლიბერალების მდგომარეობას, მუშათა პარტია ადვილათ მოიპოვებს საყოველთაო, პირდაპირ და თანასწორ საარჩევნო უფლებას დახურული კენჭის ყრით. ეს კი გზას გაუკაფავს სხვა ქვეყნების ბრძოლას ამ უფლების მოსაპოვებლათ.

ამასთანავე ინგლისის მუშებმა თვითონ აღიარეს, რომ იმათ გამარჯვებას ძალიან შეუწყო ხელი რუსეთის პროლეტარიატის რევოლიუციონურმა ბრძოლამ. რუსეთის რევოლიუცია რომ არა, ინგლისში შეიძლება ვერც კი დაარსებულიყო მუშათა დამოუკიდებელი პარტია. ეს პარტია კი თავისი მხრით კიდევ უფრო გაამხნევებს რუსეთის რევოლიუციას.

საერთაშორისო კაპიტალი მხარს უჭერდა თვითმპყრობელობას რუსეთში. მაგრამ ეხლა რუსეთს ეს ბურჯიც გამოეცალა. მაშინ როდესაც რუსეთის პროლეტარიატმა თავისი გმირული ბრძოლით კიდევ უფრო გაამძლიერა და გაამხნევა საერთაშორისო პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა და კლასობრივი შეგნება. ინგლისის მუშების გამარჯვება ეს ჩვენი გამარჯვებაა, ინგლისის პროლეტარიატის გამარჯვება თავდებია იმისი, რომ მომავალ ბრძოლაშიც ჩვენი იქნება გამარჯვება.

ამხანაგი.

ქტორა თვეში იღებს ათ ხუთმეტ თუმანს და ქურები კი რომელიც თავის და კონდუქტორის საქმეს ასრულებს, იღებს თვეში სავალოთ ოცდა ხუთ მანეთს. კონდუქტორებმაც ვარი სთქვეს ამ მუშაობაზე, რომელიც ქურებმა დასტოვეს ამისათვის ქურებმა მიმართეს ზავოდის პატრონს, ე. ი. ხაზეინს: გაძლევთ წინადადებას, რომ ჩვენ ჩვენი სამუშაოს მეტს არაფერს გავაკეთებთ და თუ მეტს დაგვავალებთ, იძულებული ვიქნებით გავიფიცოთ, კონდუქტორების წინააღმდეგ: არ შევაბამთ ფურგუნში ცხენებს და სხვ. ამისთვის თქვენ ნუ შეგვიშლით ხელს, რადგან თქვენს წინააღმდეგ ჩვენ არ ვაფიცებით. ხაზეინებმა მართლაც არ შეუშალეს ხელი ქურებს, რითაც კონდუქტორები იძულებული გახდენ დათანხმებოდენ ქურების მოთხოვნილებას. 15 მარტიდან, კონდუქტორებმა დაიწყეს თავიანთი მოვალეობის ასრულება, მხოლოდ დიტრიხის ზავოდის ოთხი კონდუქტორი არ დაეთანხმა სხვებს. ამ უკანასკნელებმა ქურები აღარ ამუშავეს და აქამდის თითქმის არაფერს მუშაობდენ, ორი საქმის გაკეთება იკისრეს, და თვითონ უვლიან ცხენებსაც და ფურგუნსაც. ამ ბატონებს ეგონათ ხაზეინი კურებს გამოტყუმრებდა, მაგრამ საუბედუროთ მათდა, ხაზეინი მათზე უფრო კეთილ-სინიდისიერი კაცი გამოდგა ამ საქმეში და კურები ზავოდშივე მუშაობენ: ასეთია დღეს მკითხველო შეუგნებელი ხალხი, თუნდ ის მუშაც იყოს. ასის დატანჯვით თავისი თავი ბედნიერათ მიაჩნია. მე ვურჩევ დიტრიხის ზავოდის კონდუქტორებს, სხვა ზავოდის კონდუქტორებს შეურთდენ და კურები დააკმაყოფილონ.

**თანამგრძნობელი**

# რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგის სოციალდემოკრატიულ რაიონების წარმომადგენელთა რეზოლიუცია.** ვიღებთ რა მხედველობაში, 1) რომ რევოლიუციონურ ხანაში რუსეთში მცხოვრებ ერთა პროლეტარებს უფრო და უფრო აკავშირებს საერთო ბრძოლა, 2) რომ ეს ბრძოლა უფრო აახლოვებს სხვადასხვა პარტიულ ერთეულებს რუსეთში, 3) რომ ბევრ ქალაქებში ფედერატიულ კომიტეტების მაგიერ დგებიან შეერთებული კომიტეტები სხვადასხვა ერთა სოციალ-დემოკ. ორგანიზაციებისა 4) რომ ნაციონალური სოც.-დემ. პარტიები აღარ იცავენ ფედერაციის პრინციპს, რომელიც სამართლიანათ უარჰყო რ. ს. დ. პ. მეორე პარტიულმა საეზდმა,— ჩვენ ვადგენთ: ა) რომ მიღებულ იქმნას ყოველივე ღონისძიება ყველა სოც.-დემ. ორგანიზაციების ერთ პარტიაში მოსაქცევათ, ბ) რომ ამ შეერთებას საფუძვლათ დაედოს ადგილობრივ გაერთიანება ორგანიზაციებისა, გ) რომ პარტიამ ფაქტიურათ უნდა უზრუნველ ყოს ადგილობრივი ინტერესები პროლეტარიატისა, მისი კულტურული თავისებურობა და სხ. ასეთ შეერთების საშვალებათ ჩვენ მიგვაჩნია: კონფერენციები სხვადასხვა ეროვნების ს. დ-ს. კერძო აგიტატორთა ჯგუფის შექმნა მათთვის და სხ. (რეჩი).

**პეტერ. სოც.-დემ. კომიტეტის რეზოლიუციები.** 1) „თუმცა გვწამს, რომ დღევანდელ პირობებში უმაღლეს სასწავლებლების გახსნა სამეცადინოთ ეოვლათ შეუძლებელია, მაგრამ რადგანაც ჩვენთვის სასურველია სტუდენტების ერთად თავის მოყრა, რომ ამით უმაღლესი სასწავლებლები რევოლიუციის სასარგებლოთ გამოვიყენოთ, პეტერბურგის კომიტეტი სასურველათ ცნობს უმაღლეს სასწავლებლების გახსნას.

2) პეტერბურგის კომიტეტმა გადასწყვიტა ტაქტიკურ კითხვების შესახებ რეზოლიუციების ბეჭვდა, როგორც ერთი, ისე მეორე ფრაქციის.

**პეტერბურგის შეერთებულ სოც.-დემ. კომიტეტის პროკლამაცია.** დურნოვოს, სუხოტინის, რენენკამფის და სხვების წინააღმდეგ პეტ. სოც.-დემ. ასეთი პროკლამაციით მიმართავს მუშებს:

„უსამართლობით და უკანონობით „აღელვებული“ ლიბერალური ბურჟუაზია, მთავრობის „სინიდისსა და სიმართლეს“ მიმართავს, სწერს ქაღალდზე პროტესტებს სიკვდილით სასჯელის წინააღმდეგ და სხ... საბრალო და სასაცილო დროს გატარებაა ყველა ეს... მხოლოდ ხალხის ბრძოლა მოუღებს ბოლოს ხალხის მასხარათ აგდებას, მის შეურაცხყოფას!“ (ნ. ჟიზნ).

**ბიუროკრატიულ სამეფოში** დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს პლევეს „საიდუმლო კანცელარია“. ეჭვით ამბობენ, რომ პლევეს ქონდა ასეთი კანცელარიაო, მაგრამ მიუხედავათ ათას ნაირი ღონისძიებისა, მისი მიგნება მაინც ვერ მოახერხეს. ერთი რამ კი დანამდვილებით იციან, რომ პლევეს ქონდა ისეთი კანცელარია, სადაც ძალიან სანდო კაცები მუშაობდენ და სადაც ყველაზე უფრო საიდუმლო საქმეებს არჩევდენო. აქ იწერებოდა თურმე საიდუმლო ბრძანებები, ებრაელების აკლების შესახებ, აქედან იგზავნე-და განკარგულება ამა თუ იმ არა სამედო პირის გადასახლების შესახებ. ჭერჭერობით არ იციან, სახელდობ ვინ გადაასახლა ამ კანცელარიამ. უნდა იყვნენ ისეთები გადასახლებულთა რიცხვში, რომლებიც ამ ინსტიის ძალით თავისუფლდებიან, მაგრამ არ იციან სად იმყოფებიან.

— ბიუროკრატიის მენდელსონის, ჭერჭერობით მაინც იმედი გაუცრუვდა; ბერლინელმა ბანკირმა შეატყობინა, რომ სანამ მაროკოს კონფერენცია არ გათავდება, არავითარი იმედის მოცემა არ შეიძლიაო. შემდეგ კი ეგებ ვიფიქროთ შუამდგომლობა გერმანელ და საფრანგეთის კაპიტალისტებთან სესხის ასაღებათო.

**ფინლიანდია.** 10 მარტს ფინლიანდიაში გაგზავნეს ორი როტა სალდათი. ლეიბ-გვარდიის ეგერის პოლკისა. ამის მიზეზათ თვლიან იმას, რომ ფინლიანდიაში ხალხი ღელავსო. ამბობენ, ფინლიანდიაში მალე არტილერიასაც გაგზავნიანო, რომლის გადასაყვანათ 4 მატარებელი მოუმზადებიათ, თითო 80 ვაგონით.

**პეტ. გუბერნიაში** „სასწრაფოთ გაგზავნეთ იმ ადგილებში, სადაც საარჩევნო კრებებია გამართული—გადაცმული სტრაჟნიკები. გუბერნატორი ზინოვიევი“.

**არჩევნები.** ვორონეჟის გუბერნიაში გლეხები ყველას აშავებენ, ვინც გლეხი არ არის.

— ეკატერინოსლავში წვრილ მესაკუთრეთა და სამღვდელოების კრებაზე გლეხებმა გაუშავეს ყველა აზნაური და სამღვდელოება, არჩეულ იქნა 13 გლეხი. გლეხები ხმა მაღლა იძახოდენ, რომ აგრარულ კითხვას გადაწყვეტა უნდა და ამას კი მხოლოდ გლეხები შეიძლებენო.

— პოლტავაში „დგება უკანასკნელი დღე ომისა. უკიდურესი პარტიები ებრაელებთან ერთათ დამარცხებას გვიპირებენ. კოროლენკო და ტუგან-ბარანოვსკი, საშიში კაცებია, რუსეთის მტრები. ჩვენ ვებრძოლეთ, მაგრამ ვერაფერი გავაწყეთ... გვიშველეთ! უფლებრივი წეს-რიგის პარტიის პოლტავის კომიტეტი“.

**აგრარული მოძრაობა.** მოსკოვში კურსკის გუბერნიიდან მრავალი გლეხები ჩამოიყვანეს და ბუტირკის ციხეში დაამწყვდიეს.

**ასოების მოტაცება.** ეკატერინბურგში, ველცის სტამბაში, 5 ბრაუნინგის რევოლვერებით შეიარაღებული კაცი შესულა და 20 ფუთი ასო წაუღიათ.

**წითელი ჯვარი.** სარატოვში, დამშეულდების დასახმარებლათ „წითელმა ჯვარმა“ 30000 ფუთი ბისკვითი გაგზავნა. ბისკვითი დამპალი გამოდგა. ის 100,000 მანეთი კი, რომელიც ამ დამპალ საქონელში „გადაუხდიათ“—დამპალი არ ყოფილა. ფული თურმე არ დალპება, ისე ამჟრალდება!

**შმიდტის** სურათების გაყიდვა აღკრძალეს. კიევში გენერალ-გუბერნატორმა სუხომლინოვმა გაზეთებს შმიდტის შესახებ წერა აუკრძალა.

**ორი მინისტრი.** ერთი მათგანი ჟორჟ კლემანსოა, საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრი და მეორე კი დურნოვო, შინაგან საქმეთა მინისტრი რუსეთში. ორივე მათგანმა მაშინ მიიღო მინისტრობა, როცა ხალხი ღელავდა, ორივე მათგანმა პარლამენტში არჩევნებისთვის უნდა მოამზადოს ხალხი. კლემანსოს დებიუტი უკვე ვიცით: ის თვითონ, მარტოთ მარტო მივიდა გაფიცულ მუშებთან და მათ მატინგზე ილაპარაკა. მან განაცხადა, რომ გაფიცვა—მუშების უფლებააო. დურნოვო კი გაფიცულებს და რევოლიუციონერებს ერთნაირათ უცქერის. კლემანსომ გაფიცულ მუშებთან ჯარი არ გაგზავნა, დურნოვო კი ყველგან ჯარს გზავნის, სადაც კი მუშაა. კლემანსო გაზ. „ავრორას“ რედაქტორ-გამომცემელია; ამ გაზეთს დურნოვოს მიერ დანიშნული ცენზორები რუსეთში არ აჭაჭანებენ. რომ მოინდომოს კლემანსო სამაგიეროს გადაუხდის დურნოვოს, მაგრამ ის ამას არ ჩადის და ყველა განკარგულება და ცირკულიარები ბ-ნ დურნოვოსი თავისუფლათ დასეირნობენ საფრანგეთში, რა თქმა უნდა ფრანგული გაზეთების ირონიული შენიშვნებით, კლემანსო აცხადებს, რომ არჩევნებს ხელს არ შევუშლიო, დურნოვომ კი სული ამოართვა ამომრჩევლებს.

ყველა ამ შედარებას შემდეგ ადვილათ დაინახავთ რა ბედნიერი ვართ ჩვენ და რა უბედური საფრანგეთი, ისეთი მინისტრის შემყურე, როგორიც კლემანსოა!

**პიროვნების „ხელუხლებლობა“.** 10 მარტს, დაატუსაღეს ცნობილი მწერალი პეშეხონოვი. დატუსაღება ჟანდარმების მოწერილობის ძალით მოხდა.

— 11 მარტს დაატუსაღეს „რაბოჩი ნაროდის“ რედაქტორი კირიაკოვი.

# დ ე პ ე შ ე ბ ი

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 მარტი.

**ხარკოვი.** თერთმეტ მარტს ბოროტ-გამძრახველები გასაძარცვათ დაეცენ ვოლჟსკო-კამის ბანკს. დაიჭირეს 4 კაცი. დანარჩენებმა გოროდოვოი დასჭრეს და მიიმალენ.

**ოდესა.** სავაჭრო სახლში „ლეონ რაბინოვიჩი“ შეცვინდენ 8 შეიარაღებული ანარქისტები და ფულები მოითხოვეს. მიიღეს უარი თუ არა კასის გატეხა დაპირეს. ერთმა მოსამსახურეთაგანმა რევოლვერი გაისროლა. ანარქისტები გაიქცენ, სამი მათგანი ქუჩაში დაიჭირეს. ფოსტაში ფულის განყოფილებას პოლიცია იცავს.

**რიგა.** აღმოაჩინეს რევოლიუციური ორგანიზაციები. დაიჭირეს რამდენიმე გამოჩენილი რევოლიუციონერი, მათ ბინაზე იარაღი, ბევრი პროკლამაციები და მეტათ საჭირო მიწერ-მოწერა ნახეს. დაჭერა გრძელდება. დროებითი სამხედრო სასამართლომ 15 წლის კატორგა მიუსაჯა 7 კაცს მებრძოლი ორგანიზაციის წევრებს, ამათ რიცხვში გოროდოვოის კრავჩუკასის მკვლელი ქალია.

**ვარშავა.** ვარშავის 115 ფაბრიკიდან რწმუნებულების არჩევა მხოლოდ 4 ფაბრიკაში მოხდა. დანარჩენებში მუშებმა არჩევნებზე უარი განაცხადეს. ოც გმინში (სოფლის საზოგადოებაა) დანიშნული არჩევნებიდან ორ გმინში არ მომხდარა, ერთში იმ ტომ, რომ ამრჩევლების რიცხვი ნაკლები იყო და მეორეში კი გლეხებმა არჩევნებზე უარი განაცხადეს. დანარჩენ გმინებში არჩევნები არ მომხდარა.

**პეტერბურგი.** კასიმოვში ქალაქის სიეზდზე აირჩიეს ორი პროგრესისტი, კოზენც-პოდოლსკში—ებრაელი ექიმი და ადვოკატი. სკოპინში—მაზრის სასამართლოს წევრი და გადასახადების ინსპექტორი, პონევეჟში—ნაფიცი ვექილი—ებრაელი. სპასკში—რიაზანის გუბერნიაში, ვაჭარი—ვაჭრობა მრეწველობის პარტიის წევრი, უსწავლელი. ნოვგოროდში—ერობის ექიმი და ვაჭარი. მამადიშის მაზრაში—ნაფიცი ვექილი მაჰმადიანი, იზიუმში—მემამულე—პარტიის გარეშე, თავად-აზნაურების წინამძღოლი. ერობის უფროსი და პროკურორი 17 ოქტ. კავშირის წევრი, სამი სოფლის კაცი, ზომიერი პროგრესისტები. იურიევში (პოლშის)—აზნაური, 17 ოქტ. კავშ. წევრი, დაბალი ვანათლების გლეხი. სუმმახში, ხარკოვის გუბერნია, თავად-აზნ. წინამძღოლი, ერობის უფროსი და ორი მსხვილი მემამულე ყველა 17 ოქტომბრის კავშირის წევრია კადეტები დამარცხდენ, კოვნოში აირჩიეს პოლშელი 4 მსხვილი მემამულე, ტიხვინში—ორი მსხვილი მემამულე, ერობის უფროსი და სამი გლეხი. სიმფეროპოლში თათარი აირჩიეს, მაზრის სამმართველოს თავმჯდომარე, სომეხი, გუბერნიის სამმართველოს წევრი, და მემამულე. ელეცში—სამი აზნაური, ორი საპატიო მოქალაქე და სამი გლეხი. ბერეზინში, მინის გუბერნიაში, წვრილ მემამულეების სიეზდზე აირჩიეს მღვდელი, ქსენძი, 6 აზნაური, 7 გლეხი. მონასტირცაში, ლიპოვეცკის მაზრაში, აირჩიეს 20 გლეხი. ყველა ხუცები და ქსენძი გაუშავეს. უსტსისოლსკში აირჩიეს ხუცესი. კმიამინის მაზრაში—4 მღვდელი, აზნაური, ჩინოვნიკი, ვაჭარი და 16 გლეხი.

16 მარტი

**ხარკოვი.** ამრჩევლების არჩევნები გუბერნიის მუშებში ამ რიგათ გათავდა. 65 კაცში გამოცხადდა, მხოლოდ 43 აირჩიეს; 5 მუშა პროგრესისტი.

**განჯა.** სომხების სოფელს ჩარდახლუს დრაგუნებმა ყუმბარები დაუშინეს. ორმოცდაათზე მეტი თოფი წაიღეს.

**ტოკიო.** 15 მარტი. ტოკაშიმის ქვა-ნახშირის მაღაროებში ნაგასაკის მახლობლათ აფეთქება მოხდა. 250 კაცი მკვდარია.

**ლანსი,** 15 მარტი. მუშების საზოგადო კრებაზე პადეკალეში 20574 ხმა გაფიცვის მომხრეა, 12582 ხმა კი წინააღმდეგი. კენჭის ყრამ მშვიდობიანათ ჩაიარა.

**ალჟესირასი,** 15 მარტი. წინასწარი შეთანხმება მოხდა პოლიციის წესდების მუხლების შესახებ. ინსპექცია ინიშნება ხუთი წლით და სულთანიდან გადაეცემა ჰოლანდიის ან შვეიცარიის რაზმის უფროს ოფიცერს.

**პეტერბურგი.** გამოქვეყნებულია კანონთა დებულებაში სტავროპოლის, ჩერნომორსკის გუბერნიებში და ყუბანის ოლქში ნაფიც მსაჯულთა შემოღება.

**პეტერბურგი.** სტაროზელსკის მაზრის მსხვილ მემამულეებმა აირჩიეს 5 ამრჩეველი, ამათ რიცხვში გუბერნიის წინამძღოლი, ორი მღდელი, ჩისტოპოლსკში—საერობო სამმართველოს წევრი, ორი აზნაური, მოურავი, ყველა ზომიერებია. კორჩში—ჩინოვნიკი უკიდურესი მემარჯვენე, წვრილ მემამულეებიდან ამრჩევლათ აირჩიეს ორი გლეხი. პლოტნიცკში—ათი მეშჩანინი და ორი აზნაური, ხუცები გააშავეს. ლიუბაშევში—ორი ხუცესი, ხუთი მეშჩანინი; კერჩში—საზოგადო ბანკის დირექტორი ხალხის თავისუფლების პარტ. წევრი; პრასკოვში—გადასახადების ინსპექტორი. ტიმში ვოლოსტის კრების რწმუნებულებმა აირჩიეს ექვსი მდიდარი გლეხი; ჩერდინში—ერთი მწერალი, 3 მამასახლისი და 19 გლეხი. ზიმიევში—8 პარტიის გარეშე, ამათ შორის ორი სამსახურიდან გამოსული სალდათია და ერობის ხმოსანი; ბირიუჩაში—14 გლეხი და 6 ხუცესი.

**ჩიტა.** გენერალ რენენკამპფმა სიკვდილით დასჯა შეუცვალა ფოსტის ჩინოვნიკებს ზამოშნიკოვს, ხმელევს, მეილუნს, ანდრეევსკის, ბერგმანს და კოსტილიევს უვადო კატორგაზე. რიბინს 12 წლის კატორგაზე, დიმიტრიევს ექვსი წლით,—ბოგოიავლენსკის და გრეკოვს ოთხი წლით,—სოსნოვსკის და აფანასიევს—გადასახლება, როგოვს გამასწორებელ რაზმში სამი წლით.

**ხარკოვი.** ვოლჟკო-კამის ბანკის ამბავმა მთელი ქალაქი ფეხზე დააყენა. სამი დაჭრილის გვარები: გიმნაზიელი უშინსკი, რეალისტი კოვალენკო, ტეხნოლოგი ნოვოქილოვი. დანარჩენების მოსანახათ ზომებია მიღებული. გაქცევის დროს ისინი ისროდენ. პოლიციელებმაც გაქცეულებს ესროლა.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭოს წევრებათ აირჩიეს ვაჭრებიდან—კრესტოვნიკოვი, როტშტეინი, პოკლევსკი, კოზიალი, ბაულინი, კრამერი. მრეწველებიდან—ტიმირიაზევი, იასნინსკი, გლეზმერი, აკიმოვი, ხანენკო, გუკასოვი.

კანონთა დებულებაში გამოქვეყნებულია თავად-აზნ. ბანკის 48 პრ. გირავოს ფურცლების გამოშვება 15 მილიონ მან. ვოლოსტების ამომრჩევლების სიეზდზე აირჩიეს კოზმოდემსკში ხე-ტყის მოვაჭრე, მამასახლისი, ვოლოსტის მოსამართლე, 3 გლეხი, 6 მღვდელი, ლგოვში—აზნაური, ხალხის თავისუფლების პარტიის წევრი. ქალაქის ამრჩევლების სიეზდზე კასიმოვში აირჩიეს 2 პროგრესისტი, ხოტინში სამი ხალხის თავისუფლების პარტიის წევრი, ცენტრის პარტია გააშავეს.

**ალჟესირასი.** კონფერენციამ განიხილა გადასახადის სისტემის პროექტი და გადასახადის ახალი წყაროების გამონახვა. საზღვაო წარმომადგენლები წინააღმდეგნი იყვნენ. დიპლომატიური კორპუსის ამ საკითხში ჩარევის, დაადგინეს, რომ მაროკოში შემოტანილ საქონელს ღირებულების ორ პროცენტ ნახევარი ბაჟი დაადონ. ეს ბაჟი იქნება ფონდი ზღვაოსნობის და ვაჭრობის გასავითარებლათ.

(რუსეთის სააგენტო).

16 მარტი

**ბაქო,** სასტუმრო „გრანდ-ოტელის“ მახლობლათ ვილაც ბოროტ-გამზრახველმა წელში დასჭრა ნაფიცი ვექილი დოლუხანოვი. ბოროტგამზრახველი მიიმალა. დაჭრილის მდგომარეობა საშიშია.

**სარატოვი.** შინაგან საქმეთა მინისტრი დაეთანხმა ერობას მისცეს 800,000 მან. სარატოვის გუბერნიაში დამშვართა დასახმარებლათ.

**ბელასტოკი.** კიევის ქუჩაზე ყუმბარა გადააგდეს. არავინ დაშავებულა.

**სედლეცი.** ვილაც ბოროტ-გამზრახველებმა მძიმეთ დასჭრეს სედლეცკის მაგისტრატის მდივანი ოსტროვსკი.

**ყაზანი.** ზოგიერთ კაპიტალისტებმა მიიღეს წერილები. რომ აღნიშნულ ალაგზე ფული გაეგზავნათ, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილს ემუქრებოდენ. ერთმა კაპიტალისტმა წერილი წარუდგინა პოლიციას, რომელმაც დაიჭირა ფულების წასაღებათ მოსული რეალურ სასწავლებლის შეგირდი.

**ოდესა.** დაიწვა ბუკშტაბის წისქვილი.

**ყაზანი.** რეალისტმა უგრიუმოვმა, რომელიც პოლიციამ მუქარის წერილის გაგზავნისთვის დაიჭირა, განაცხადა, რომ მან ეს საქმე ჩეხოვის მოთხრობის გავლენით ჩაიდინა და არავითარ რევოლიუციურ პარტიას ის არ ეკუთვნის.

რედაქტორ-გამომცემელი **გრ. მახარაძე.**


# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

# „ჯ ე ჯ ი ლ ი“

წელიწადი მეხუთმეტე

1906 წელსაც გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისთვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი ღლეის იქით გამოვა უცენზუროთ და ეცდება დააკმაყოფილოს ახალი სკოლის მოთხოვნილება.

რედაქციასთან დაარსებული კომისია ყოველ ღონისძიებას ხმარობს ჟურნალის გასაუმჯობესებლათ. რედაქცია შეძლებისა და გვარად ხშირათ ჩაურთავს „ჯეჯილის“ ნომრებში ფერადი წამლებით ნახატებს.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს 4 მან. თფილის გარეშე გაგზავნით 5 მან. ნახევარის წლით 3 მ. ცალკე ნომერი 50 კაპეიკი.

ხელის მოწერა მიიღება:

თფილისში—„წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ (Дворцовая ул. возлѣ Кадетскаго Корпуса).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ Въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.

რედაქტორ-გამომცემელი ანასტასია წერეთლისა.

საყმაწვილო ჟურნალი

# ნ ა კ ა დ უ ლ ი

**სურათებით.**

წელიწადი მეორე. წელიწადი ითვლება პირველ იანვრიდან იანვრამდე.

**ხელის მოწერა მიიღება** რედაქციაში, წ.-კ. გ. საზოგადოების კანცელარიაში და მარიამ დემურიას ბინაზე—ალექსანდრეს ქუჩა, № 5.

რედაქცია იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში, № 8.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.

ჟურნალის ფასი: ერთათ ორივე გამოცემა 5 მან., ცალკ-ცალკე—სამ-სამი მანეთი. ნახევარის წლით: ერთათ—2 მან. 50 კაპ., ცალკ-ცალკე 1 მან. 50 კაპ., თვეში კ., ცალ-ცალკე ნომერი მცირე წლოვ ნათვის—15 კაპ., მოზრდილთათვის 25 კ. წლიურ ხელის-მომწერთ შეუძლიანთ თვეში თითო მანათი შემოიტანონ.

შარშანდელი მთელი წლის ნომრები იყიდება სამ მანათათ.

პირობებზე მოსალაპარაკებლათ რედაქცია ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ფოსტის ადრესი: თფილისი ჟურნალ „ნაკადული“-ს რედაქცია.

რედაქტორი მარიამ ივანეს ასული დემურიასი. გამომცემელი თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.

გ. ვადილიას წიგნის მაღაზიაში

**იყიდება შემდეგი საკუთარი გამოცემანი:**

| | |
|---|---|
| 1) სამი სიტყვა ანუ თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა-ერთობა ივ. მაჭავარიანისა. | 5 კ. |
| 2) როგორ უნდა შესდგეს ხალხის წარმომადგენლების არჩევნები? ა. ლომთათიძისა. | 4 კ. |
| 3) ლუკმა პურის ამბავი, ანუ ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან, თარგ. კ. ხიხიძისა. | 6 კ. |
| 4) თავისუფლებისთვის მებრძოლნი თარგ. ა. ლომთათიძისა. | |
| 5) დედაკაცი თარგ. ა. ლომთათიძისა. | 6 კ. |

აგრეთვე იყიდება შემდეგი წიგნები:

| | |
|---|---|
| ა. წულუკიძე. ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან. | 50 კ. |
| გ. კაუცკი. ისტორიულ-ეკონომიური ნარკვევი საფრანგეთის წარსულიდან. | 20 კ. |
| კ. მარქსი. ვაჭრობის თავისუფლება. | 20 კ. |
| მ. კოვალევსკი. ოჯახის და საკუთრების წარმოშობ-განვითარება წ. 1. | 20 კ. |
| ბ. ს. მრეწველობის განვითარება ანუ შრომა და კაპიტალი. | 15 კ. |
| ნ. ჟ. გერმანიის ახალი ისტორიიდან. | 25 კ. |
| ლიბკნეხტი. რა ბრალს გვდებენ. | 10 კ. |
| შაპელი. პროფეს. კავშირები. | 10 კ. |
| როგორ იბრძოდენ სიცილიელი გლეხები. | 15 კ. |
| ოქტავ მირბო. ჟანი და მადლენა. | 25 კ. |
| ვ. ლიბკნეხტი. ჩვენი მიზანი, თარგმანი პოლ. კალანდაძისა. | 15 კ. |
| ა. ბებელი. კაცობრიობის იდეალი, თარგ. კ. ნინიძისა. | 15 კ. |
| ა. ბახი. შიმშილი, მოკლე პოლიტ. ეკონომია თარგმანი თ. სახოკიასი. | 20 კ. |
| ა. თ. ბაკლეის. ამბები ინგლისის ისტორიიდან მე-XI-XIX საუკ. თარგ. კ. ჩხეიძისა. | 50 კ. |
| ფრიდ. ენგელსი. ჰეგელი. გვარობათა ორგანიზაციის წარმოშობა და განვითარება. | 15 კ. |
| პ. ლაფარგი. მანქანის მნიშვნელობა თარგ. მ. ცხაკაიას მიერ. | 10 კ. |
| მანტეგაცა. შრომა და ბედნიერება თარგ. მ. ნინიძისა. | 30 კ. |
| შავი სპარტაკი კუნძულ სან-დომინგოს ცხოვრებიდან. | 40 კ. |
| დ. ჩუბინაშვილი. რუსულ-ქართული ლექსიკონი | 2 მან. 40 კ. |
| ი. იმედაშვილი. უცხო სიტყვათა ლექსიკონი | 1 მ.—კ. |
| ე. ბელლამი. ასის წლის შემდეგ (სოციოლოგიური რომანი). | 60 კ. |
| გ. ტისანდე. მეცნიერებისათვის წამებულნი 48 სურათით. | 1 მ.— |
| მაჟუევი. თანამედროვე ქვეყნიერების მაწინავე კუთხე, ინგლისის ახალშენი | 60 კ. |